ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## აგარაში მამაკაცმა ცოლი დაჭრა, მეზობელი მამაკაცი კი მოკლა

„კაცს 16-ჯერ დაარტყა დანა, ცოლს – 13-ჯერ“



გვ.7

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

სამშაბათი, 11 ივნისი, 2019 №136 (8090) ფასი: 60 თეთრი

# ნორა კვიციანი: „გუბაზ სანიკიძე ირაკლი ოქრუაშვილს შეეკრა და ნათელ-მირონს უღალატა“




გვ.3



## „არჩევნებმა აზრი დაკარგა, „ოცნება“ პანდურის კვრით უნდა გავაგდოთ“



გვ.3

ბეჟან ნათელაშვილი: „პოლიტიკაში დახლის ვაჭრების ადგილი არ არის“

## რამაზ საყვარელიძე: „ოცნებამ“ ახალი სახეები რეიტინგებით უნდა შეარჩიოს“

გვ.2





გვ.4

## ნინო გოგუაძე: „ხელისუფლება შეზრდილია კრიმინალთან... არჩევნებში ამდენი კრიმინალი არ მინახავს“

## „შავგულიძის სახე ბოკერია არ უნდა ყოფილიყო“

პაატა ზაქარეიშვილი: „რაც ახლა მოლდოვაში ხდება, 2020-ში აქ მოხდება“



გვ.4



გვ.5

## რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთში ანექსიისკენ მიმართულ ნაბიჯებს დგამს

### სამართალი

გვ.7



გორში 18 წლის ქ.ნ.-მ პოლიციის მანქანა გაიტაცა და ავტობანზე დაამტვრია



სანზონაში გარდაცვლილი 4 წლის ნინო ზალინაშვილის მამინაცვალი არკადი ქავაშვილი დააკავეს



## ლევან როსტოშვილი ციხიდან გამოუშვეს

### ეკონომიკა

გვ.6

დავით ქიქინაძე: „რატომღა ვიღებთ ამ კანონებს, თუკი ხვრელები მაინც რჩება — გაგვიმეორდება „ცენტრ პოინტი“





„ვერეს ხეობაში, სადაც 4 წლის წინ ტრაგედია დატრიალდა, მრავალსართულიანი კორპუსების ინტენსიური მშენებლობები მიმდინარეობს“



ISSN 1987-9385

2 ხუხაშვილი: „სულ ანგელოზები რომ მოიყვანონ, მაინც არაფერი არ ეშველებათ, ჯოჯოხეთში მიდიან“

5 ბახტაძე სკანდალში ეხვევა

2 ნუკრი ქანთარია: „მომავალ საპარლამენტო შემადგენლობაში ჩემი ყოფნის აუცილებლობას ვერ ვხედავ“

5 „ეს ქმედება არის სასიკვდილო ცოდვა, ღმერთი დაგვსჯის ამის გამო“

# რამაზ საყვარელიძე: „ოცნებამ“ ახალი სახეები რეიტინგებით უნდა შეარჩიოს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ მოსალოდნელი პარტიული სახეების ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, „ქართულ ოცნებასთან“ ბიძინა ივანიშვილის მიერ გამართული შეხვედრის შემდეგ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ 2020 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ განახლებული გუნდით წარდგება. ახალი სახეების შესახებ განაცხადი თქვენთვის რა მესიჯია?***

– ჩვენ ვიცით, რომ „ქართულ ოცნებას“ ახალი სახეების, კადრების მოსაძიებლად მუშაობა კარგა ხანია დაწყებული აქვს. ამდენად, განახლების შესახებ ცნობა ადრეც იყო. სტრუქტურული ერთეულიც კი შეიქმნა. პატივსაცემი ადამიანებიც გამოიყო კადრების მოსაძიებლად და ა.შ.

***– მაია მიმინოშვილს გულისხმობთ?***

– დიახ, და ასევე იმ ფსიქოლოგების გუნდს, რომლებიც მუშაობენ პარტიაში ახალი სახეების მოსაძებნად. თუმცა, ალბათ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩევა ეს ახალი კადრები. ფსიქოლოგიური შერჩევის კუთხით, კარგი ჯგუფი მუშაობს, რადგანაც გამოცდილი ფსიქოლოგები არიან, მაგრამ ისინი აქამდე მხოლოდ საგამოცდო ტესტების საკითხებზე მუშაობდნენ. პოლიტიკურ საკითხებზე მათ მუშაობის გამოცდილება და არც პრეტენზია არ აქვთ.

მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ეს პრობლემა „ქართულ ოცნებაში“ რეალურად დგას. ივანიშვილი როდესაც პოლიტიკაში შემოვიდა, მისი ცნობილი ფორმულა ყველას ახსოვს: „შუა უნდა გაიკრიფოს“. როგორც ჩანს, ორ სკამზე ყოფნის პრობლემა მართლაც პრობლემა აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის“.

***– რას გულისხმობთ?***

– ნაციონალური მოძრაობიდან პორტირებულ ადამიანებს. მაშინ შეიძლება ამ კუთხით ყურადღება არ მიაქცია არავინ კადრებს. ვინ იყვნენ, საიდან იყვნენ და ა.შ. მაგრამ პოლიტიკურად შემდეგ ეს უკვე „ქართული ოცნებისთვის“ სერიოზული პრობლემა აღმოჩნდა. ყველა პოლიტიკური დებატი სწორედ ამ კადრების ხსენებით იწყება და მთავრდება.

ეს ძალიან მძიმედ ილექება საზოგადოების ცნობიერებაში, რომელიც ფიქრობს: თუ ისევ ის უნდა იყოს, მაშინ რა შევცვალე, ამისთვის ვიბრძოლე, რომ იგივე მოსულიყო?!

მეორე პრობლემა, რაც იყო „ოცნებაში“, იყო ის, რომ ადამიანები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდნენ, არ იზიარებდნენ პარტიის ხედვას, პოზიციებს, ორიენტირებს. ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს გუნდში და ეს ვნახეთ ჩვენ კიდეც. აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც „ოცნების“ პრინციპებიდან გვერდით მიდიოდნენ.

გუნდმა უნდა ჩამოაყალიბოს თავისი კრედო, დოკუმენტი საკმაოდ დეტალურად, უბრალოდ კარგი ცხოვრება მინდა და გადავწყვიტე მმართველ პარტიაში მაღალი თანამდებობის დაკავება, ასე არ უნდა იყოს. არ უნდა იყოს, რადგან შემდეგ ეს ქმნის სერიოზულ პრობლემებს. ისეთი კრედო უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც უკარნახებს როგორც შემრჩევებს, ისე თავად კადრებს, არის თუ არა მათი ადგილი ამ პარტიაში.

***– როგორ უნდა მოხდეს ახალი სახეების შერჩევა, რა მექანიზმით?***

– ძალიან მარტივია – რეიტინგებით. 21-ე საუკუნის პოლიტტექნოლოგიები უკვე ისეა განვითარებული, რომ თითქმის ყველაფერი სოციოლოგიურ კვლევამდეა დაყვანილი. ეკითხები ამომრჩეველს, რა უნდა, ვინ უნდა და აკეთებ იმას. ძალიან მარტივია ფორმულა. ვისაც დაბალი აქვს რეიტინგი ან უარყოფითი, ის ხალხი უნდა გაუშვა და რეიტინგულები შემოიყვანო.

***– ანუ რეიტინგული და პოპულარული სახეები შეიძლება ვიხილოთ „ქართულ ოცნებაში“?***

– მთლად ასეც არ არის. ჩვენთან პირიქით არის. ეს მექანიზმი მოუგვარებელია. რეიტინგული ფიგურა გაუშვეს ჩრდილში, მაგალითად, კახი კახიშვილი. როგორც დამოუკიდებელი ფიგურა, როგორც რაღაცის შემქმნელი, ჩრდილში გადავიდა, რაც სრულიად გაუგებარი ნაბიჯი იყო.

***– 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნება“ ახალი გუნდით წარდგა. ძველებს დაემშვიდობა, რაც არცთუ უმტკივნეულო პროცესი იყო. რა მიიღეს მოქალაქეებმა?***

– ბევრი კარგი ახალი სახე შემოვიდა. მაგალითად, თამარ ჩუგოშვილი, რომან კაკულია, მაგრამ შემოვიდა ბევრი ისეთი სახეც, რომლებმაც მალევე მიიღეს ეპითეტი „კომკავშირელი“. ამ ცვლილებებს კარგი მხარეც ჰქონდა და ცუდიც. მომავალშიც ამისგან ალბათ არავინ არ იქნება დაზღვეული.

***– თალაკვაძემ ასევე იმ გამოსვლაში ახსენა, რომ ძველები ღირსეულ ადგილს დაიკავებენ. როგორც ჩანს, ეს კვლავ პრობლემური თემაა?***

– დაიკავებენ თუ მხოლოდ მაშინ გაახსენდებათ, როდესაც არჩევნებზე გაუჭირდებათ?! გახსოვთ ხომ ფრაზა: ძველი გვარდია დაგვიდგეს გვერდით! ასევე იმ დოკუმენტში უნდა აისახოს, უნდა იყოს გაწერილი ძველი გვარდიის მიმართ დამოკიდებულებაც, რომ შემდეგ ამანაც არ წარმოშვას პრობლემები. მე ვსაუბრობ საქმიან დოკუმენტზე, რომლის შექმნის შემდეგ „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკა გასაგები იქნება.

საქართველოში სახელისუფლო საკადრო პოლიტიკა მუდმივად გაუგებარი იყო. ამიტომ, სულ რჩება შთაბეჭდილება, ვინ ვისთან არის დაახლოებული თუ დაშორებული, ამის მიხედვით ხდება უმაღლეს ეშელონებში საკადრო გადაწყვეტილებების მიღება,

უფრო ლოგიკური რომ გახდეს გუნდის განახლება, რაღაც კრიტერიუმები უნდა შეიმუშაონ და ამ კრიტერიუმების მიხედვით უნდა მოხდეს განახლება.

განახლება განახლებისთვის შედეგის მომტანი არ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება კომკავშირის მაგვარი რაღაც მივიღოთ.

# ნუკრი ქანთარია: „მომავალ საპარლამენტო შემადგენლობაში ჩემი ყოფნის აუცილებლობას ვერ ვხედავ“

მომავალ საპარლამენტო შემადგენლობაში ჩემი ყოფნის აუცილებლობას ვერ ვხედავ, თუმცა ეს არამცდაარამც არ ნიშნავს „ქართული ოცნების“ გუნდის დატოვებას, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაწერა. როგორც ქანთარია წერს, პარლამენტში ახალი ხალხია საჭირო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პარტია „ქართული ოცნების“ დატოვებას აპირებს.

დეპუტატი მმართველ გუნდში მიმდინარე განახლების პროცესს გამოეხმაურა. მისი თქმით, სახელისუფლებო გუნდი მუდმივად საჭიროებს განახლებას.

– მინდა, ჩემი პოზიცია სახელისუფლო გუნდში მიმდინარე განახლების პროცესთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ განვმარტო, რათა საზოგადოების და მედიის მხრიდან სხვადასხვაგვარად არ იქნეს აღქმული და ინტერპრეტირებული. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი გუნდი, მით უფრო სახელისუფლო, მუდმივად საჭიროებს განახლებას. ეს მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიული პროცესის გაჯანსაღებისთვის. იმედი მაქვს, განახლების პროცესი, რომელიც მმართველ გუნდში უკვე დაწყებულია და ამ მიმართულებით აქტიური ნაბიჯებიც გადაიდგა, წარმატებით დასრულდება. ამ ეტაპისთვის მომავალ საპარლამენტო შემადგენლობაში ჩემი ყოფნის აუცილებლობას ვერ ვხედავ იქიდან გამომდინარე, რომ ორი მოწვევის პარლამენტის წევრი ვარ და მიმაჩნია, რომ ახალი ხალხია საჭირო. ვიმეორებ, ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ჩემს საჭიროებას ახალ პარლამენტში, თუმცა, ეს არამცდაარამც არ ნიშნავს „ქართული ოცნების“ გუნდის დატოვებას ან პასიურ პოზიციაში გადასვლას. პირიქით, ვფიქრობ, სწორედ მრავალწლიანი გამოცდილებით და დაგროვილი ცოდნით აქტიურად ჩავერთო პარტიის განახლების და, ზოგადად, მმართველი გუნდის გაძლიერების პროცესში.




ვარ და ვიქნები ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრე და მასთან ერთად ვაპირებ ბრძოლის გაგრძელებას. შევხედოთ მოვლენებს, თუ იქნება სტაბილური პოლიტიკური გარემო, ასეთ შემთხვევაში ვერ ვხედავ აუცილებლობას და საჭიროებას, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის. მაგრამ, თუ გამწვავდა სიტუაცია და გუნდმაც და მეც დავინახეთ, რომ საჭიროა ჩემი საპარლამენტო პროცესში კვლავ მონაწილეობა, დავდგები იქ, სადაც გუნდის და ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, – წერს ქანთარია.

# მერაბ ქვარაია: „ნასამართლევი ვარ და კრიმინალი არ მგონია ჩემი თავი“



უმრავლესობის წევრმა, დეპუტატმა მერაბ ქვარაიამ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე აღიარა, რომ ნასამართლევია, თუმცა იქვე დასძინა, რომ კრიმინალი არ არის.

ქვარაია გულახდილობის განწყობაზე მას შემდეგ დადგა, რაც „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ოთარ კახიძემ მთაწმინდაზე გუშინ ჩატარებულ არჩევნებში კრიმინალური ავტორიტეტების მონაწილეობაზე ისაუბრა.

კერძოდ, კახიძემ თქვა, რომ შემაშფოთებელია, როცა მმართველ პარტიას საარჩევნო უბნებთან იმ სამყაროს წარმომადგენლები ჰყავთ, რომლებიც მოქალაქეების საკუთრებას და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიან.

– პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა გაიზარდა და საკმაოდ მაღალი სტანდარტით ხდება ყველაფერი. რაღაც ჩირქი მოვცხოთ ამ არჩევნებს და ვიღაცისკენ ხელი გავიშვიროთ, ცოტა უხერხულია ჩვენი ამომრჩევლების მიმართ გამოვიჩინოთ ასეთი უპატივცემულობა, რომ ვიღაცა თავს ახვევს, კრიმინალი იქნება ის თუ ვინ იქნება. ჩვენი ამომრჩეველი მგონი არ ღებულობს ასე მარტივად გადაწყვეტილებას და საკმაოდ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებით მიდის არჩევნებზე. ცოტა გაუგებარია, რომ ადამიანებს კრიმინალის იარლიყი ასე უპასუხისმგებლოდ ვესროლოთ და მივაწებოთ, ეგ არ არის სწორი, მით უფრო ბატონი ოთარისგან გამიკვირდა ნამდვილად. ნასამართლევი თუა ადამიანი, ის კრიმინალი რატომ უნდა იყოს, ვერ ვხვდები. ნასამართლევი უამრავი ადამიანია, მით უმეტეს, როცა თქვენი ხელისუფლება მართავდა. მე თვითონ ნასამართლევი ვარ და კრიმინალი არ მგონია ჩემი თავი, – განაცხადა ქვარაიამ.

# ხუხაშვილი: „სულ ანგელოზები რომ მოიყვანონ, მაინც არაფერი არ ეშველებათ, ჯოჯოხეთში მიდიან“

ექსპერტი გია ხუხაშვილი „ოცნებაში“ დაანონსებულ საკადრო ცვლილებებს ეხმაურება და ამბობს, რომ არ შეიძლება, პარტიის განახლება HR-ის გადაწყვეტილებებით მოხდეს.

– ვოლსკი გაუშვა და კახაძე მოიყვანო, ამაში მე ლოგიკას ვერ ვხედავ. რამდენი დაიძახეს ახალი სახე, ხან ღარიბაშვილი დააბრუნეს და ხან აგერ, მთლად ლადო კახაძე აირჩიეს. ასე რომ, ეს არის მხოლოდ კეთილი სურვილები. მხოლოდ კეთილი სურვილებით ჯოჯოხეთში მიდიხარ. სულ ანგელოზები რომ მოიყვანონ და სულ გენიოსები, მაინც არაფერი არ ეშველება ამას, თუ სისტემური რეფორმირება არ დაიწყება. უნდა აღდგეს ინსტიტუციური წესრიგი, პირველ რიგში და ინსტიტუციური წესრიგის აღდგენა ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის გაპრემიერებას. კონსტიტუციის მიღმა ცხოვრობს ქვეყანა. კი ქაღალდზე გვიწერია კონსტიტუცია, კაბინეტებზე აწერია პრემიერ-მინისტრი, მინისტრი და ა.შ. მაგრამ ეს ხომ არ არის რეალობა. მთლად არ ჩამოაყალიბეს, ანუ მაია მიმინოშვილი, რომლის კვალიფიკაციას მე პატივს ვცემ, ჩემი კლასელია მაია და აიყვანეს HR-ად.



პარტიის რა უბედურებაა, ერთი ამიხსენით. კობახიძეც უკვე, მგონი, ძველ გვარდიად თვლის თავის თავს და იმასაც კი გვიცხადებს, რომ ომამდე ტანკისტი და ყველაფერი თვითონ უნდათ დაიბრალონ ამათ, რომელიც მერე გამოიჩეკნენ საერთოდ. იქ თავების მარხვა დაიწყება, როგორც კი ვიღაც გამოჩნდება, სანამ გამოუწერენ პარტიის წიგნებს ვინმეს, მანამდე დამარხავენ, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „არჩევნებმა აზრი დაკარგა, „ოცნება“ პანღურის კვრით უნდა გავაგდოთ“

## ბეჟან ნათელაშვილი: „პოლიტიკაში დახლის ვაჭრების ადგილი არ არის“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ აღარ აქვს არჩევნებს აზრი, რატომ არის ქუჩაში გასვლა აუცილებელი, სადამდე მიიყვანეს საქართველო დახლის ვაჭრებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი **ბეჟან ნათელაშვილი** ესაუბრება.

***– თქვენი პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში არჩევნებმა აზრი დაკარგა. მისი აზრით, დროა, ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და ხელისუფლება გააგდოს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– რა თქმა უნდა. საქართველოში არჩევნებმა უკვე დიდი ხანია დაკარგა აზრი. ივანიშვილი ძალაუფლებას არჩევნების გზით არავითარ შემთხვევაში არ დათმობს. ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს და „ოცნება“ პანღურის კვრით გავაგდოთ. სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს.

ამის გაკეთებას მხოლოდ ლეიბორისტული პარტიის რესურსი არ ეყოფა. შეიძლება ჩვენს დაძახილზე 50.000 კაციც გამოვიდეს, მაგრამ ეს ხალხი რამდენიმე საათში დაიშლება, შედეგი კი არ დადგება. მეტსაც გეტყვით, ასეთი წარუმატებელი მცდელობა გაცილებით დიდ ნიჰილიზმში ჩააგდებს მოსახლეობას.

კრახით დასრულებული ნებისმიერი აქცია კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს დამაქცევარ ხელისუფლებას.

შედეგი რომ მივიღოთ, ხალხი და ოპოზიცია ქუჩის აქციებზე უნდა შევთანხმდეთ. ჩვენ აქციებისთვის მზად ვართ. იმ პარტიებს უნდა დაველაპარაკოთ, ვინც კვლავ იმის მტკიცებაშია, რომ ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს.

ივანიშვილი არჩევნებში არავის არ გაამარჯვებინებს. სანამ ის ხელისუფლებაშია, არჩევნებში მონაწილეობა იგივეა, რომ შულერთან დაჯდე სათამაშოდ. და თუ ჯდები, ან იმაზე დიდი შულერი უნდა იყო, ან მაგიდა აუყირავო.

***– თქვენ და თქვენი პარტია მაგიდის აყირავებისკენ იხრებით?***

– ამ შულერს მაგიდა თუ არ ავუყირავეთ, აყირავდება ქვეყანა. ისედაც ცალი ფეხით უფსკრულზე ვართ გადაკიდებული.

ოპოზიციას და ხალხს სამოქალაქო სექტორიც უნდა შემოუერთდეს. ისინი დღეს უკვე ღიად ამბობენ, რომ საქართველოში არჩევნები გაუქმებულია.

***– ამის მიუხედავად, არასამთავრობოები ამბობენ, რომ ქუჩაში გასვლა მაინც სარისკოა სახელმწიფოსთვის.***

– სადღა გვაქვს სახელმწიფო. ქუჩის გარდა, „ოცნებამ“ სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვა.

***– ქუჩაში ხალხი არჩევნების წინ უნდა გამოვიდეს თუ არჩევნების დღეს?***

– არავითარი არჩევნები. ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, რომ წავიდეს და ამის მერე ჩავატაროთ არჩევნები.

ჩვენს საზოგადოებას სიჩქარე უყვარს, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ერთ ან ორ დღეში ხელისუფლებას ვერ გადააყენებენ. მილიონი ადამიანიც რომ შეიკრიბოს, „ოცნება“ პირველივე დღეს არ წავა.

***– მილიონი ადამიანი თუ გამოვიდა, ერთ დღეში კი არა, ერთ საათში გაიქცევიან.***

– სიტყვაზე ვთქვი მილიონი, თორემ ამდენი ადამიანი თუ გამოვიდა, აქედან ვერც ერთი ქოცი ვეღარ გააღწევს – ყველანი ციხეში აღმოჩნდებიან.

არც ერთი რევოლუცია ერთ დღეში არ მომხდარა. მთელ მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ ბრძოლა შეგვიძლია. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, გამოვიყენოთ პროტესტის ყველა ფორმა, რომელიც კანონთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

***– სომხეთში, უკრაინაში, მოლდოვაში ხალხმა ღიად უთხრა უარი ოლიგარქებს. ჩვენთან საზოგადოების ნაწილი ჯერ ისევ გიჟდება ივანიშვილზე. როგორც კი მის კრიტიკას იწყებ, ეგრევე პირში გივარდებიან, რომ ამ ადამიანმა სამება ააშენა.***

– მოდით, დავიწყოთ იმით, რომ ივანიშვილს სამება არ აუშენებია. საკათედრო ტაძრის მშენებლობაში მთელი საქართველო მონაწილეობდა. უამრავმა ადამიანმა გაიღო შემოწირულობა.

ვთქვათ და ივანიშვილმა მარტომ ააშენა ეს ტაძარი, ეს მას ყველაფრის უფლებას არ აძლევს. საქართველოში ეკლესიები მის დაბადებამდე და გამდიდრებამდეც მრავლად შენდებოდა და მომავალშიც აშენდება.

მოდით, პირდაპირ გეტყვით, რასაც ვფიქრობ. ჩვენ მართლმადიდებელი ქვეყანა ვართ და ჩვენთან უამრავი ეკლესია-მონასტერია. დღეს ახალი ეკლესიების აშენება საჭირო არ არის. ახლა საწარმოების აშენებაა აუცილებელი. ადამიანები უნდა დასაქმდნენ, რომ პურის ფული მაინც ჰქონდეთ. დამიჯერეთ, უფალსაც გაეხარდება, რომ ხალხი მშიერი აღარ იქნება.



ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მძიმე რეალობის წინაშე ვდგავართ. ივანიშვილი ყველას ყიდულობს, ვისაც რაიმე გავლენა აქვს. სამწუხაროდ, საპატრიარქოც ოლიგარქის გავლენის ქვეშ მოექცა.

გამოსავალი არის ასეთი – ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა. ამას მხოლოდ ქუჩის აქციებით შევძლებთ.

***– აქციებისთვის ხალხია საჭირო. ხალხი კი დაღლილი და იმედგაცრუებულია. შესაძლებელია მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანა?***

– ხალხი დაღლილი და იმედგაცრუებულია. ამის გარდა, ყველა მიიჩნევს, რომ სხვა უნდა დადგეს ქუჩაში. ასეთი განწყობა სახელმწიფოსთვის დამღუპველია. სწორედ ეს ათავხედებს ხელისუფლებას. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, დახლის ვაჭრებს, რომელთაც პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ.

***– ზევით თქვით, რომ ივანიშვილმა ყველაფერი იყიდა, მათ შორის საპატრიარქოც. „ოცნების“ ლიდერს საკმაოდ დიდი ფული აქვს და ხალხს ვერ იყიდის?***

– მცდელობა ექნება, მაგრამ ყველას ვერ იყიდის. უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ პოროშენკოსაც ჰქონდა მილიარდები, მაგრამ მას ხალხმა უარი უთხრა.

დარწმუნებული ვარ, ხალხი საქართველოშიც გამოფხიზლდება, ძილი ისედაც გაგვიგრძელდა.

***– გამოფხიზლება დაგვიანებული ხომ არ იქნება?***

– დაგვიანებულია, მაგრამ არც ისე, რომ რამე უსაშველო გვჭირდეს. გამოფხიზლდება თუ არა ხალხი, შედეგიც დადგება – დახლის ვაჭრები და ოლიგარქები პოლიტიკიდან განიდევნებიან. მგონი დროა, პოლიტიკაში პოლიტიკოსები დაბრუნდნენ.

ძალიან არ მინდა ამის თქმა, მაგრამ გამოსავალი მხოლოდ მშვიდობიან რევოლუციაშია. არჩევნები ივანიშვილმა უბრალოდ მოგვპარა.

***– არჩევნებზე ქურდების და ძველი ბიჭების გამოჩენაზე რას ფიქრობთ? ესეც რაღაც ახალი დაამკვიდრა ივანიშვილმა.***

– ეს მთლად ივანიშვილის დამკვიდრებული არ არის. ძველ ბიჭებს წინა ხელისუფლებაც იყენებდა.

***– ნაციონალებიც იყენებდნენ, მაგრამ მაშინ ძველი ბიჭები და პოლიციელები ერთად არ დგებოდნენ.***

– მაშინ უფრო ჭკვიანი ხალხი იყო ხელისუფლებაში. იმის ტვინი ჰქონდათ, რომ პოლიცია და კრიმინალები ერთმანეთის გვერდით არ დაეყენებინათ.

ეს ხელისუფლება იმაზეც კი არ ფიქრობს, თუ რას იტყვის საზოგადოება, როცა კრიმინალების და სამართალდამცავების ერთობას დაინახავს. იმდენად გატუტუცებული არიან ოლიგარქის ფულებით, რომ შედეგებზე აღარ ფიქრობენ. მათ თავი დაუმარცხებელი ჰგონიათ, ძალიან თავდაჯერებულები არიან. ერთხელაც იქნება და ეს თავდაჯერებულობა დაღუპავს მაგათ.

***– დარწმუნებული ხართ, რომ თავდაჯერებულობა დაღუპავს „ოცნებას“?***

– ეჭვიც არ მეპარება. მაგათ იმედი აქვთ, რომ მოსახლეობა მთლიანად გაზომბდა და გახდა უუნარო. იმდენს კი ვერ ხვდებიან, რომ, ადრე თუ გვიან, ეს ხალხი ხმას ამოიღებს, გამოვლენ რუსთაველზე და დახლის ვაჭრების მმართველობას დაასრულებენ.

***– ივანიშვილის წინააღმდეგ თუ არის ეს აქცია, რუსთაველის გამზირზე გასვლას, სოლოლაკის სასახლესთან ასვლა არ ჯობია?***

– აქცია ორივე მიმართულებით უნდა გაიმართოს. რუსთაველიდან სოლოლაკის სასახლემდე უნდა გაიბას ცოცხალი ჯაჭვი, ოლიგარქი დაინახავს ხალხის ძალას და დასრულდება.

# ნორა კვიციანი; „გუბაზ სანიკიძე ირაკლი ოქრუაშვილს შეეკრა და ნათელ-მირონს უღალატა“

შორენა მარსაგიშვილი




ყოფილი პოლიტპატიმარი ნორა კვიციანი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას. მიაჩნდა, რომ სანამ კოდორის ამბები არ იქნებოდა გამოძიებული, თავდაცვის ყოფილ მინისტრს პოლიტიკური აქტიურობის უფლება არ ჰქონდა.

ამის მიუხედავად, ყოფილი პოლიტპატიმარი ხმამაღლა არ აპროტესტებდა ოქრუაშვილის აქტიურობას. ხმამაღალი განცხადების გაკეთება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გაიგო, რომ მინისტრყოფილის თანამებრძოლი გუბაზ სანიკიძე იქნება.

ნორა კვიციანი მიიჩნევს, რომ გუბაზ სანიკიძემ ამით დიდი ღალატი ჩაიდინა.

რაში გამოიხატება გუბაზ სანიკიძის დანაშაული, რატომ არა აქვს პოლიტიკაში ყოფნის უფლება ოქრუაშვილს? – ამის შესახებ ნორა კვიციანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ნორა კვიციანი:**

– ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ რა დამოკიდებულებაც მაქვს, კარგად იცი, ისიც კარგად იცი, რა საშინელება დამართა ამ ადამიანმა ჩემს ოჯახს. ჩემთვის იოლი სანახავი არ იყო იმის ყურება, თუ როგორ ცდილობდა ეს ადამიანი პოლიტიკაში დაბრუნებას. ამის მიუხედავად, ჩუმად ვიყავი და ხმა არ ამომიღია, მის გარდა, სხვა ბევრი დამნაშავეა დღეს პოლიტიკაში.

არც ახლა ამოვიღებდი ხმას, მაგრამ როცა გავიგე, რომ გუბაზ სანიკიძე მის გვერდით დადგა, წყობიდან გამოვედი, გული მეტკინა, ყველაფერზე წარმოდგენა დამეკარგა და გადავწყვიტე, ხმამაღლა მეთქვა იმ ტკივილის შესახებ, რაც ამ ამბის გაგებამ განმაცდევინა.

გუბაზ სანიკიძე არის ჩემი ძმის, ემზარის, ბავშვის ნათლია. იმ კაცის ბავშვის ნათლიაა, რომლის ლიკვიდაციის ბრძანებაც ირაკლი ოქრუაშვილმა გასცა. აი, ამ ადამიანს შეეკრა გუბაზი. ამ ინფორმაციის გაგებამ დამანგრია და გამანადგურა.

***– რომელი ბავშვის ნათლიაა?***

– უმცროსის. გაბრიელა გუბაზმა მონათლა. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გუბაზი იმ კაცს შეეკვრებოდა, რომელმაც მისი ნათლიის მამის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. ხოლო ამ ბავშვის მამიდა, ანუ მე, ციხისთვის გამიმეტა.

ვის ვის და გუბაზს, რომელიც ქართული ტრადიციებით არის გაზრდილი, კარგად უნდა ესმოდეს, თუ რას ნიშნავს ნათელმირონობა. ნათესაობა 7 თაობაზე გადადის, ნათელ-მირონი – 12 თაობაზე.

ძალიან გაბრაზებული ვარ, უფრო მეტად კი გული მტკივა, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ სანიკიძე იმ ადამიანს შეეკვრებოდა, რომელსაც ჩვენი განადგურება სურდა.

***– იქნებ გუბაზმა არ იცის, ოქრუაშვილმა ემზარის ლიკვიდაციის ბრძანება რომ გასცა?***

– ეს ინფორმაცია დამალული არ არის. ამის შესახებ ირაკლიმ ხმამაღლა განაცხადა. ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ისაუბრა. მან თქვა, რომ 2006 წლის კოდორის მოვლენების დროს კვიციანის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. იქვე დაამატა, დრო უკან რომ დაბრუნდეს, ახლაც იგივეს გავაკეთებდიო.

ეს განცხადება თან ისეთ დროს გააკეთა, როცა ემზარი ძალიან მძიმედ იყო და ციხეში იჯდა. პატიმარ კაცზე როგორ უნდა თქვა, მისი ლიკვიდაციის ბრძანებას გავცემდიო.

ოქრუაშვილისგან წესით არ უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ გუბაზისგან ძალიან მეწყინა. ვინ ვინ და გუბაზმა კარგად იცის, რომ ემზარ კვიციანი მის გამო ტყვიას შეუშვერდა მკერდს.

ჩემმა ძმამ თუ დაინახა, რომ ოქრუაშვილს უპირებს ვინმე მოკვლას, მასაც კი გადაეფარება.

***– მაგას რატომღა?***

– ემზარი კეთილი ადამიანია. მას უყვარს საქართველო და ქართველები. ირაკლი ოქრუაშვილსაც ამის გამო გადაეფარებოდა. იმის მიუხედავად გადაეფარებოდა, რომ მან მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა.



ისევ გუბაზს დავუბრუნდები და ძალიან, ძალიან მტკივა გული მისი საქციელის გამო. სხვა თუ არაფერი, მას ის მაინც აღარ ახსოვს, ჩემ გამო აქციებს რომ მართავდა და ოქრუაშვილს სხვა ნაციონალებთან ერთად ლანძღავდა?!

***– თქვენ გამო რატომ ლანძღავდა ოქრუაშვილს?***

– 2006 წელს მე დამაკავეს. დამაკავეს კი არა, მძევლად ამიყვანეს. ციხეში 6 წელზე მეტი გავატარე. მაშინ ბევრი ადამიანი ითხოვდა ჩემს გათავისუფლებას. მათ შორის იყო გუბაზიც. ის ყველა იმ ადამიანს აკრიტიკებდა, ვინც კოდორის სპეცოპერაციაში იღებდა მონაწილეობას. ოქრუაშვილი კი ამ ამბებში მთავარი იყო.

გუბაზმა ისიც იცის, როგორ გასცა ოქრუაშვილმა სოფელ ჩხალთის განადგურების ბრძანება.

***– ჩხალთის განადგურება რაში სჭირდებოდა?***

– ჩვენი სოფელია. მან პილოტებს პირდაპირ ასე უთხრა – დაადუღეთ სოფელი ჩხალთა. პილოტებმა იმედა მაისურაძემ და სოსო ოსორაულმა ამ ბრძანების შესრულებაზე უარი თქვეს. ამის გამო ისინი თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა დააჭერინა.

კიდევ ერთხელ გეუბნებით, აქამდე მოთმინებით ვუყურებდი ოქრუაშვილის აქტიურობას, მაგრამ გუბაზი რომ მის გვერდით დავინახე, ძალიან გავმწარდი. თქვენი გაზეთით მინდა ვკითხო – არ გრცხვენია, გუბაზ?!

# ნინო გოგუაძე: „ხელისუფლება შეზრდილია კრიმინალთან... არჩევნებში ამდენი კრიმინალი არ მინახავს“

## „შეიძლებოდა პროცესი უბედურებით დასრულებულიყო“

იაგო ნაცვლიშვილი



9 ივნისს მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში პარლამენტის შუალედური არჩევნების მეორე ტური გაიმართა, რომელიც შუალედური არჩევნებიდან ერთადერთი იყო, სადაც მეორე ტურის გამართვა გახდა საჭირო. ამის მიუხედავად, მოხდა ის, რაც ბოლო წლებში არაერთხელ მომხდარა და მმართველი გუნდის კანდიდატმა ლადო კახაძემ ოპოზიციის წარმომადგენელი დაამარცხა. ოპოზიცია ფაქტს თვალს უსწორებს, თუმცა ამბობს, რომ არჩევნებში არნახული რაოდენობით იყვნენ ჩართული კრიმინალები. შედეგად შალვა შავგულიძემ კონკურენტ ლადო კახაძეს გამარჯვება არ მიულოცა.

როგორია ამ საკითხზე მათი ანალიზი, რა გეგმები აქვთ, გააანალიზებენ თუ არა ოპოზიციის შეცდომებსაც და შენარჩუნდება თუ არა „ევროპული საქართველოს“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ერთობა? – აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი **ნინო გოგუაძე** საუბრობს:

***– რა მოხდა მთაწმინდაზე არჩევნების მეორე ტურში. როგორია თქვენი ანალიზი?***

– მთაწმინდის არჩევნები იყო ერთადერთი მეორე ტურის არჩევნები და მმართველმა გუნდმა მთელი სახელისუფლებო რესურსი ჩადო ამ არჩევნებში. სახელისუფლებო რესურსს ვინ ჩივის, როდესაც გამოყენებული იყო კრიმინალი უამრავი რაოდენობით. ნახავთ აუცილებლად კადრებს საინფორმაციო საშუალებებიდან, რა ტიპის ზეწოლა იყო უბნებთან და როგორი ტიპის ადამიანები გამოიყენა ხელისუფლებამ.

ეს არის კატასტროფა სახელმწიფოსთვის, იმიტომ, რომ გუშინ პირველად მქონდა იმის შეგრძნება, რომ კიდევ კარგი, მამაკაცი არ გვახლდა ზოგიერთ ეპიზოდში, თორემ შეიძლებოდა უბედურებით დამთავრებულიყო ეს პროცესი. ეს ხელისუფლება ამ ქვეყანას მიაქანებს უფსკრულისკენ, ადამიანების დაპირისპირებისკენ და ეს არის საშინელება, რასაც ეს ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ჩადის. მმართველი გუნდისთვის ერთი დეპუტატი, კონფორმისტი წარმომადგენელი, რომელიც „ოცნების“ ტიპიური წარმომადგენელია... ერთი დეპუტატის დაკარგვა „ოცნებისთვის“ იყო ძალაუფლების ტოლფასი, საკუთარი „პრესტიჟის“ საქმე და ამას გადააყოლა სახელმწიფოს ფუნდამენტი.

**„ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით, რაც 9 ივნისს თბილისს აკადრეს, ეს ქალაქი ამას საკადრისად უპასუხებს“**

რაც გუშინ ვნახეთ, ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება, თითოეული მშვიდობიანი მოქალაქის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯები. მარტო არჩევნებს არ ვგულისხმობ, არამედ მთლიანად პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტი მოხდა და კახაძე შევიდა პარლამენტში, მე თავს დამარცხებულად ნამდვილად არ ვგრძნობ. ნამდვილად არ ვარ დამარცხებული, იმიტომ, რაც არჩევნებზე ვიხილეთ, ეს „ძველი ბიჭები“, ეს კრიმინალები და მოწიოკე ქალები, ისეთი საშინელება იყო...

მათ შეგვაშინეს კი არა, იქით შევაშინეთ სამმა ქალმა. მაინც არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო და შესაბამისი სიტყვა ვიხმარო, იმ ადამიანების მიმართ. ყველაფრის მიუხედავად, ეს არის ჩვენი ქვეყანა, ესენი არიან ჩვენი მოქალაქეები. ხელისუფლება რომ არის უპასუხისმგებლო, ჩვენი – ოპოზიციის ვალია, არ დავუშვათ სახელმწიფოში დაპირისპირება და არ დავუშვათ ასეთი მტრული გარემო.

***– გვახსოვს, რომ წინა არჩევნებზეც, თუნდაც იგივე საპრეზიდენტო არჩევნებზეც მძიმე ფონი იყო. თქვენ პირადად ასეთი რამე აქამდე არ გინახავთ, რაც ახლა ნახეთ?***

– დიახ, ახლა ვნახე ის, რაც აქამდე არ მინახავს. ასეთი რაოდენობით კრიმინალების ჩართულობა არჩევნებში არ მინახავს. პირდაპირ გეტყვით, მეცამეტე და მეთოთხმეტე უბანი იყო ამ მხრივ გამორჩეული. ყველგან იყო, მაგრამ ეს უბნები გამორჩეული იყო.

***– რა განცხადებებსაც აკეთებთ იქიდან გამომდინარე შეგიძლიათ დასკვნა გააკეთოთ, რომ დღეს უკვე სახელმწიფო ხელისუფლება შეზრდილია კრიმინალთან?***

– აბსოლუტურად, ხელისუფლება შეზრდილია კრიმინალთან. რა ფაქტებსაც მე ვყვები, იქ იდგა პოლიცია, რომელიც უყურებდა ამ მართვის მოქმედებებს, ჩხუბს, ყვირილს და არ განძრეულა. ეს კადრებში ჩანს. ეს ჩანს კადრებში. არ გეგონოთ, რომ მე რამეს ვაჭარბებ შეფასებისას, თქვენ ამ კადრებს აუცილებლად ნახავთ. ეს კადრებიც კი, რასაც თქვენ ნახავთ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გადმოსცემს ადამიანების იმ რაოდენობას, რომელიც იქ იყო მობილიზებული.

გვყავს რამდენიმე ადამიანი იდენტიფიცირებული, რომელთა შესახებაც მშვენივრად იცის პოლიციამ და მათ მოუწევთ ამ ბიჭების პასუხისგებაში მიცემა.

***– აპირებთ, რომ ამ თემას ბოლომდე მიყვეთ?***

– აუცილებლად. არ არსებობს, რომ ამ საქმეს ბოლომდე არ მივყვეთ, აუცილებლად ბოლომდე მივყვებით. იცით რატომ? ეს არის არა მხოლოდ ქვეყნის სტაბილურობის საკითხი, არამედ თითოეული ჩვენი მოქალაქის სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. დარწმუნებული ვარ, რომ რაც გუშინ თბილისს აკადრეს, ეს ქალაქი ამას საკადრისად უპასუხებს.

***– აპირებთ თუ არა შედეგების აღიარებას და აქვე გვითხარით, რა იქნება თქვენი სამოქმედო გეგმა?***

– გუშინ ვთქვი, რომ ფაქტი შედგა, ეს ფაქტია, რომ „ოცნების“ 104-ე წევრი შევა პარლამენტში, მაგრამ ამას ჩვენ არ ვულოცავთ მმართველ გუნდს და მის კანდიდატს. ფაქტს ვუსწორებთ თვალს, მაგრამ აქ ასაღიარებელი არაფერია და მით უმეტეს, მისალოცი.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „შავგულიძის სახე ბოკერია არ უნდა ყოფილიყო“

## პაატა ზაქარეიშვილი: „რაც ახლა მოლდოვაში ხდება, 2020-ში აქ მოხდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

***– ბატონო პაატა, არჩევნები მოსალოდნელი შედეგით დასრულდა – „ოცნების“ კანდიდატის გამარჯვებით. ოპოზიციის ერთი ნაწილი აცხადებს, რომ კრიმინალის და ადმინისტრაციული რესურსის შერწყმა მოხდა „ოცნებასთან“. შავგულიძე კი აცხადებს, რომ მან ვერ მოახერხა ამომრჩევლის მობილიზება და იმაში დარწმუნება, რომ ხელისუფლება შესაცვლელია. რას იტყვით თქვენ?***

– ვინც თვლის, რომ ხელისუფლებამ ასე პირწმინდად გაიმარჯვა, იმას ანალიზის გაკეთება უჭირს. ეს იყო ძალიან დიდი გამოწვევა. მთავარი შედეგი არის ამომრჩევლის არმისვლა. შავგულიძემ ვერ მოახერხა ამომრჩევლის მობილიზაცია, ეს რაღაცაზე მეტყველებს. „ქართულმა ოცნებამ“ კი თავად არ მოინდომა ამომრჩევლის მობილიზაცია.

***– რატომ?***

– მან გააკეთა მხოლოდ თავისი ამომრჩევლის მობილიზაცია. „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან კარგად იცოდა, რომ მწარედ წააგებდა, ყველა ამომრჩეველი რომ მიეყვანა არჩევნებზე. ანუ მან აღიარა, რომ ის არ არის პოპულარული და მისთვის არ იყო მთავარი მისულიყო ბევრი ხალხი. კარდაკარ დადიოდნენ და მაქსიმალურად მუშაობდნენ საკუთარ ამომრჩეველთან.

***– მიიყვანა ის, ვინც მხარს უჭერდა?***

– დიახ, მიიყვანა ის, ვინც ზუსტად იცოდა, რომ მას მისცემდა ხმას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამით „ქართულმა ოცნებამ“ აღიარა, რომ ის არ არის პოპულარული. ყველაფერი გააკეთა, რომ ბევრი არ მისულიყო და მისულიყო მხოლოდ მისი ამომრჩეველი. ოპოზიციამ კი, სამწუხაროდ, არაფერი გააკეთა, რათა მომხდარიყო მობილიზაცია. პრაქტიკულად შავგულიძე თავის თავზე მუშაობდა და გიგა ბოკერია ედგა მხარში, რომელიც სულაც არ არის პოპულარული.

***– ამან ცუდად იმუშავა?***

– ჯობდა, გიგა ბოკერია არ ყოფილიყო შავგულიძის სახე. ხოლო სხვები, განსაკუთრებით ვინც პირველ ტურში მონაწილეობდა, ყველა განზე გადგა, რაც ძალიან ცუდი სიგნალია ზოგადად.

მთავარი ამოცანა დღეს „ქართული ოცნების“ არის არა სახელმწიფოზე ზრუნვა, ან საზოგადოების ინტერესებზე ზრუნვა, არამედ ოპოზიციის გახლეჩა, რათა 2020 წლის არჩევნებისათვის დაქსაქსული იყოს.

ოპოზიციამ, რომელიც ასე თამამად ლაპარაკობს კრიმინალზე, ადმინისტრაციულ რესურსებზე, მოსყიდვაზე, პირველ რიგში თავის გულში ჩაიხედოს და თქვას, რამდენად კონსოლიდირებული და მობილიზებულია. აი ესაა მთავარი.

ძალიან თავისებურად ჩანს ოპოზიცია, როცა პრობლემებს ეძებს მხოლოდ და მხოლოდ „ქართულ ოცნებაში“ და ვერ ხედავს პრობლემას თავის თავში. გუშინდელი მარცხი კი მხოლოდ ოპოზიციის დამსახურებაა და არა – „ქართული ოცნების“ წარმატება.

***– რატომ არის ოპოზიციის დამსახურება?***

– იმიტომ, რომ ის არმისული 60% ამომრჩევლისა მეტყველებს ოპოზიციაზე და არა – „ქართულ ოცნებაზე“.

მათ პროტესტი გამოუცხადეს არსებულ სიტუაციას, როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ოპოზიციას. ხალხი სახლში დარჩა. მე პირადად ვიყავი არჩევნებზე და სრული სიცარიელე იყო, სრული. მე ასეთი სიცარიელე არ მინახავს აქამდე. იყო დამკვირვებელი, კომისიის წევრი და მხოლოდ მე, ერთი ამომრჩეველი, შევედი დარბაზში და ყველა უყურებდა ერთადერთ ამომრჩეველს.

სამარცხვინო სიტუაცია იყო. ეს იყო საშინელი ილუსტრაცია ოპოზიციის უუნარობისა. ყოჩაღ, „ქართული ოცნება“, რომ მიაღწია ოპოზიციის დაქსაქსვას. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ 2020 წლის არჩევნების შედეგები.

***– ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გაუჭირდება „ოცნებას“ 2020 წლის არჩევნებში. ახლა მხოლოდ ერთი რაიონის არჩევნები იყო და სრული მობილიზაცია მოახდინა ამომრჩევლის, მთელი საქართველოს მასშტაბით კი ამის რესურსი არ ეყოფა, რაც ოპოზიციის შანსებს ზრდის. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

– შანსი იზრდება, მაგრამ თუ ოპოზიცია ასე დაქსაქსული იქნება, ამ შემთხვევაში არა.

საზოგადოებაში არის აპათია არჩევნების მიმართ. არჩევანი არ აქვთ, ასარჩევი არავინაა. არის „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობა და მასთან დაკავშირებული „ევროპული საქართველო“. ეს არის და ეს. მესამე მყარი ცენტრი არ ჩანს. იმედია, გამოჩნდება და ის დისტანცირებას მოახდენს როგორც „ოცნებისგან“, ისე ნაცმოძრაობისგან.



***– მესამე ძალაზე და ახალ პარტიებზე საუბრობთ და ირაკლი ოქრუაშვილი ახალ პარტიას აფუძნებს, რა შანსები აქვს? ვისთან ასოცირდება მისი ახალი პარტია?***

– ირაკლი ოქრუაშვილი ძველი სახეა და ის და მისი პარტიაც მოინათლება, როგორც ნაციონალური მოძრაობა. ასე რომ, მისგანაც უნდა მოხდეს დისტანცირება. ოქრუაშვილს თუ სადმე მიესვლება, მიესვლება მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან და „ევროპულ საქართველოსთან“. ვინც კი მის გვერდით დადგება, ყველა გაჭუჭყიანდება, ისე, როგორც გაჭუჭყიანდა და ჭუჭყიანი და დაუმსახურებელი კამპანია წარიმართა შავგულიძის წინააღმდეგ.

***– იგივე სიტუაციაში აღმოჩნდება ის, ვინც ოქრუაშვილთან მივა?***

– დიახ, ასე იქნება. უცებ ააგორებენ შავ პიარს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამაში მიუღებელი არაფერი არ არის. ეს ყველგან ასე ხდება, ამერიკაშიც და ყველგან. ბინძური კამპანია თავისთავად მოსულა საარჩევნო კამპანიის დროს.

ამ ბოლო არჩევნებს არც ისე ბინძურად ჩაუვლია, როგორც ეს ადრე ხდებოდა. არავის ლოგინში არ შემძვრალან და ფარული ჩანაწერები არ გამოუქვეყნებიათ. ამიტომ გულახდილად რომ ვთქვა, სიბინძურის თვალსაზრისითაც კი, ეს არჩევნები კორექტულობით გამოირჩეოდა.

***– შავგულიძემ თავად მისცა შავი პიარის საბაბი ხელისუფლებას, როცა „ევროპული საქართველოს“ გვერდით დადგა?***

– დიახ. მე ვფიქრობ, შავგულიძე თავისი პარტიით რომ გამოსულიყო, მაინც გავიდოდა მეორე ტურში, მართალია, წააგებდა, მაგრამ არ იქნებოდა ასე აფილირებული ნაციონალურ მოძრაობასთან.

მე მას ძალიან დიდ პატივს ვცემ. გულახდილად გეტყვით, რომ მივედი და შავგულიძეს მივეცი ხმა. შემეძლო ისე გამეკეთებინა, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებზე გავაკეთე, როცა ორივე კანდიდატი გადავხაზე, მაგრამ ჩავთვალე, რომ შავგულიძეს ჩემი მხრიდან მაინც უნდა ჰქონოდა შანსი.

აქვე დავძენ, რომ ჩემთვის ყოვლად მიუღებელია „ევროპული საქართველო!“ მე პატივს ვცემ ამ კაცს. თუმცა ყველა ასე არ ფიქრობს. შავგულიძე თუ უკან დახია რამემ, დახია „ევროპულმა საქართველომ“.

***– ეს რატომ ვერ გათვალა?***

– არ ვიცი, მას რა გათვლები ჰქონდა. ეს შედეგი უნდა გაეთვალა. როცა ის გაერთიანდა „ევროპულ საქართველოსთან“, მაშინვე გული დამწყდა, მაგრამ ვერ დავიწყებდი ამაზე ლაპარაკს, რადგან ეს მის წინააღმდეგ იმუშავებდა. თუმცა აშკარა იყო, რომ წამგებიან სტრატეგიას დაადგა, როცა „ევროპულ საქართველოს“ შეეკრა.

ეს ძალიან კარგი გაკვეთილი უნდა იყოს 2020 წლისათვის. ყველა პოლიტიკურმა ძალამ უნდა იცოდეს, რომ თავი შორს დაიჭიროს ნაციონალური მოძრაობისაგან და „ქართული ოცნებისაგან“. ნაცმოძრაობაში „ევროპულ საქართველოსაც“ ვგულისხმობ.

***– „ოცნებაც“ და ნაციონალებიც ცდილობენ, რომ შუაზე გაიყონ ამომრჩეველი.***

– მესამე ძალამ არ უნდა მისცეს ამის საშუალება. რაღაც მესამე ცენტრი უნდა შეიქმნას. მთავარი ამოცანა „ქართული ოცნების“ სწორედ ეს არის, რომ არ შექმნას ეს სისტემა.

ისინი ძალიან კმაყოფილები არიან, რომ მიაღწიეს ნაცმოძრაობის დისკრედიტაციას. მათი მთავარი ამოცანაა, რომ ეს ჰარმონია მესამე ცენტრმა არ დაარღვიოს.

დღეს „ქართულ ოცნებას“ სჭირდება ორი რამ – არ შეიქმნას მესამე ცენტრი და რაც შეიძლება მეტი ილაპარაკოს სააკაშვილმა. რაც უფრო მეტს ილაპარაკებს სააკაშვილი, ეს მით უფრო აწყობს „ქართულ ოცნებას“. შესაძლოა, ფულსაც კი უხდიან ამაში.

თუ ასე მივიდა 2020 წლამდე, ის სერიოზულ შედეგებს მიიღებს. მინიმუმ 40%-ს აიღებს პარლამენტში.

მე ექსპერტებს და ჟურნალისტებს ვურჩევ, ყურადღება მიაქციონ იმას, რაც ხდება მოლდავეთში, რაც დღეს იქ ხდება, შესაძლოა, 2020 წელს ეს ჩვენთან მოხდეს.

ჩვენი მოსალოდნელი სცენარი ამ დღეებში სწორედ იქ ხორციელდება.

# რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთში ანექსიისკენ მიმართულ ნაბიჯებს დგამს

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ხელისუფლება მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. საქართველოს ამ რეგიონს ტურისტული სეზონის დროს ძირითადად რუსები სტუმრობენ. მათ მიმოსვლის პრობლემა არა აქვთ.

რუსეთის სატრანსპორტო გეგმები ოკუპირებულ აფხაზეთში საკუთარ დამსვენებლებზე ან აფხაზეთის მოსახლეობაზე ზრუნვით არაა განპირობებული. გათვალისწინებულია რეგიონის უფრო მეტად ათვისება, რაც ანექსიისკენაა მიმართული.

სოხუმის აეროპორტის ამოქმედების აუცილებლობაზე აფხაზეთში წინა წლებშიც საუბრობდნენ. 1993 წლიდან გაჩერებული სოხუმის აეროპორტის ამუშავება რთული საქმეა. ამას დიდი ფინანსები და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (იკაოს) თანხმობა სჭირდება. ამის მიუხედავად, აფხაზეთის დეფაქტო პრემიერი ვალერი ბგანბა ირწმუნება, რომ სოხუმის აეროპორტის აღორძინება იგეგმება. ამისათვის რუსი ბიზნესმენები რუსეთის ხელისუფლების თანხმობით ატარებენ საპროექტო-საძიებო სამუშაოებს.

ბგანბას ნათქვამიდან გამომდინარე, რუსები სოხუმის აეროპორტს საკუთრად მიიჩნევენ:

– სოხუმის აეროპორტი სოჭის აეროპორტზე უფრო მოსახერხებელია. მას შესასვლელი აქვს როგორც ზღვიდან, ისე მთებიდან. იგი ყოველთვის არსებით როლს ასრულებდა.

აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი არ გამორიცხავს, რომ თვითმფრინავები სოხუმის აეროპორტში უკვე მომავალი წლის ზაფხულში დაეშვებიან. საფრენი ზოლი გასარემონტებელია, ინფრასტრუქტურა კი მთლიანად შესაცვლელი. როცა ეს მოხდება, გაიზრდება გამტარუნარიანობა.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან რუსები ატარებენ მოლაპარაკებებს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.



ჩრდილოელი მეზობელი ოკუპირებულ რეგიონთან საზღვაო მიმოსვლის გეგმებსაც აწყობს. ამ თემებზე ამ დღეებში აფხაზურმა დელეგაციამ სოჭში, ნოვოროსიისკსა და ანექსირებულ ყირიმში იმსჯელა.

შავ ზღვაზე დადის რუსეთის საკრუიზო გემი „კნიაზ ვლადიმირი“. ეტყობა, ეს ლაინერი და მისი კავშირი აფხაზეთთან მნიშვნელოვანია პირადად პუტინისათვის. იგი ხაჯიმბასთან გამართულ შეხვედრაზე ამ საკითხს შეეხო. შეხვედრის შემდეგ გაიცა დავალებები, რათა „კნიაზ ვლადიმირმა“ სოხუმის პორტშიც იაროს. ლაინერის მარშრუტი მოიცავს სოჭი-სევასტოპოლი-ნოვოროსიისკი-სევასტოპოლი-სოჭის მარშრუტს. მასში გადაწყვეტილია სოხუმის ჩართვა. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ეს ტურისტების მოთხოვნაა.

რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთში სასულიერო მიმართულებითაც გააქტიურდა. მოვლენები ისე ვითარდება, რომ აფხაზეთის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესია გაერთიანდება და ფაქტობრივად მთლიანად რუსეთის საპატრიარქოს დაექვემდებარება. ეს უკანონობა იქნება, მაგრამ ასეთი რამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან გასაკვირი არ უნდა იყოს. ის აფხაზეთს ოფიციალურად არ მიიერთებს.

ახალ ათონში გამართულ ფართო შეკრებაზე, რომელსაც აქამდე ერთმანეთთან დაპირისპირებული დბარისა და აპლიას ჯგუფების გარდა, მრევლი და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ, ახალი გადაწყვეტილებები მიიღეს. საზოგადოებას გააცნეს ხაჯიმბას და აპლიას მიმართვა რუსეთის პატრიარქ კირილისადმი. მიმართვის ავტორები მას მოუწოდებენ, მოუხსნას სასჯელი არქიმანდრიტ დოროთე დბარს და ბერ ანდრია ამპარს.

მოსალოდნელია, რომ რუსეთის საპატრიარქო 2011 წელს დადებულ და შემდგომში გაგრძელებულ შეზღუდვებს მოუხსნის დოროთე დბარს და ანდრია ამპარს, ისინი სხვა ჯგუფებთან ერთად გააგრძელებენ მღვდელმოქმედებას რუსეთის ეკლესიის მფარველობის ქვეშ, რუსეთი კი თავის გავლენას აფხაზეთში რელიგიური კუთხითაც გააძლიერებს.

# „ევროპული საქართველო“ მართლმსაჯულების რეფორმის ე.წ. მეოთხე ტალღის პაკეტს მხარს არ დაუჭერს

„ევროპული საქართველო“ მართლმსაჯულების რეფორმის ე.წ. მეოთხე ტალღის პაკეტს მხარს არ დაუჭერს, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ოთარ კახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი განმარტებით, არის რიგი საკითხები, რომელიც „ევროპულმა საქართველომ“ მართლმსაჯულების რეფორმის მე-4 ტალღით გათვალისწინებული ცვლილებების მომართულებით დღის წესრიგში დააყენა. თუმცა, კახიძის თქმით, როგორც ჩანს, ამის გათვალისწინებას უმრავლესობა არ აპირებს.



კახიძის განმარტებით, პირველ რიგში ისინი ითხოვდნენ მოსამართლის არჩევის დასაბუთებას. მისივე განმარტებით, ქულების დაწერა ისე ხდება, რომ არანაირი დასაბუთება არ ახლავს, რატომ დაუწერეს ერთ კანდიდატს პირობითად – 100 და მეორეს – 70 ქულა. კახიძის თქმით, აღნიშნულის შესახებ პროექტში არაფერია ასახული.

– მეორე პრობლემა, რომელიც ახლავს ამ პაკეტს, გახლავთ მოსამართლეების უფლებამოსილება, რომ მათ თავად აირჩიონ თავიანთი სასამართლოს თავმჯდომარე და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ დაუნიშნოს და ამ გზით არ აკონტროლონ საქალაქო თუ სააპელაციო სასამართლოები, – განაცხადა კახიძემ.

მისივე განმარტებით, მესამე საკითხი ეხება დისციპლინურ პასუხისმგებლობას. კახიძის თქმით, დისციპლინური საჩივრის ხანდაზმულობის ვადა 5-დან 4 წლამდე მცირდება, რაც არ არის მისასალმებელი.

რაც შეეხება მეოთხე საკითხს, რომლის გათვალისწინებასაც „ევროპული საქართველო“ ითხოვს, ის საკვალიფიკაციო გამოცდას უკავშირდება.

– იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ უნდა ჩაატაროს ის გამოცდა, რომლის შედეგებიც გახდა ცნობილი კონკურსანტებისთვის. ამ ინფორმაციამ გაჟონა და დღემდე არის გამოუძიებელი. ეს საბჭო სრულიად დისკრედიტირებულია ამ მიმართულებითაც. შესაბამისად, ჩვენ ვთვლით, რომ საბჭოდან სკოლას უნდა გადაეცეს ამ გამოცდის ორგანიზების უფლებამოსილება. ბოლო საკითხი ეხება თვითონ საბჭოს სხდომების საჯაროობას, არა მხოლოდ ჩვეულებრივი სხდომების, არამედ მოსამართლეთა არჩევის პროცესის გამჭვირვალობას. ვთვლით, რომ კანონში უნდა აისახოს ეს გარანტია, რომ ჩვენს მოქალაქეებს და მედიას ჰქონდეს სრული შესაძლებლობა, რომ გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით დააკვირდეს პროცესს. ამ თემების გაზიარება, როგორც ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა, მმართველი გუნდის მხრიდან არ მოხდება. შესაბამისად, „ევროპული საქართველო“ ე.წ. მეოთხე ტალღის პაკეტს მხარს არ დაუჭერს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღებთ მონაწილეობას, საპარლამენტო განხილვებში და ყველა იმ საკითხს, რომელსაც სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ვსვამდით, დავაყენებთ უკვე საკომიტეტო და პლენარულ ფორმატში, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

# ბახტაძე სკანდალში ეხვევა

თაღლითობის გზით სხვისი ნივთის მითვისება – „ბილდინგ დეველოპერის“ დაკავებულ დირექტორსა და მფლობელს გამოძიებამ ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენა.

ირკვევა რომ შპს-ს, რომლის საქმიანობას სუს-ი იძიებდა, 7 მილიონიანი კონტრაქტი პრემიერის დავალებით გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ გაუფორმა. ირკვევა ისიც, რომ ამ კომპანიის დირექტორი თბილისის მერის მოადგილის ძმაა.

დაკავებული ალექსი სიხუაშვილის ადვოკატმა ცოტა ხნის წინ დატოვა სამართალდამცავი უწყება.

– ედავებიან მას თითქოს და ქვიშა არ განათავსა ამ მილსადენების ქვევით ე.წ. „ბალიშების“ სახით. საუბარია იმაზე, რომ პროექტში იყო გათვალისწინებული მხოლოდ 400 კუბი ქვიშის განთავსება. რეალურად კიდევ, პროექტს სჭირდებოდა 1200 კუბი ქვიშა, რაზეც წერილი არის შესაბამის დამკვეთთან გაგზავნილი, რომ ეს არ იყო საკმარისი აღნიშნული მაგისტრალისთვის. მარტივად რომ ვთქვათ, ედავებიან, რომ თითქოს ქვიშა მოიპარა და არ ჩაყარა იმ რაოდენობის ქვიშა, რაც უნდა ჩაეყარა. ფაქტი კიდევ სხვა რამეზე მეტყველებს, რომ 400 კუბი ქვიშა საკმარისი არ იყო ამ 4 კილომეტრიანი მილსადენების ქვეშ განსათავსებლად და, შესაბამისად, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. მე როგორც ვიცი, სასამართლო განჩინების საფუძველზეა დაკავებული და სხვა მეტი არაფერი, – აცხადებს ლაზარია.



ლაზარია ამბობს, რომ სიხუაშვილი „შაბათის კურიერში“ გასულ ყველა ინფორმაციას უარყოფს.

– უარყოფს ყველა ფაქტს, ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, მე შემიძლია რამდენიმეზე კომენტარი გავაკეთო წალკასთან დაკავშირებით, სადღაც თითქოს და წყლით მოიწამლა მოსახლეობა. უბრალოდ პროექტში არ იყო გათვალისწინებული ფილტრების დაყენება და, შესაბამისად, როგორც კომპანია ვერ უზრუნველყოფდა ამ ფილტრების დაყენებას, ვერ გასცდებოდა იმ პროექტს, რაც იყო დაკვეთა, – ამბობს როსტომ ლაზარია.

# სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობას ლონდა თოლორაია დაიკავებს

სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე პარლამენტმა მხარი ლონდა თოლორაიას კანდიდატურას დაუჭირა – მან 8 ხმა მიიღო.



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე ორი კანდიდატურა – ლონდა თოლორაია და ვალერი ლომუაშვილი იყვნენ წარდგენილნი. დეპუტატებმა კანდიდატურებს კენჭი რამდენიმე წუთის წინ უყარეს.

კანდიდატებმა დღევანდელ სხდომაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის საკუთარი ხედვები წარადგინეს.

სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუციის ხელშიც არა მხოლოდ მოსმენების ე.წ. გასაღები აღმოჩნდება, არამედ მასვე დაევალება სამართალდამცველთა დანაშაულის გამოძიება. ლონდა თოლორაია შს სამინისტროში ერთ-ერთ საკვანძო თანამდებობას იკავებს.

# რომან გოცირიძე: „ბიზნესი ვერ გეგმავს თავის მომავალს“

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა წლიური ანგარიში წარუდგინა. ოპოზიცია ეროვნული ბანკის არასწორ მუშაობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ გვენეტაძის ხელმძღვანელობით ბანკმა არაერთი შეცდომა დაუშვა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძე ყურადღებას ლარის არამდგრადობაზე ამახვილებს და ამბობს, რომ ასეთი არასტაბილური ეკონომიკური გარემო ბიზნესზე უარყოფით გავლენას მოახდენს.

– მეშვიდე წელია, არის მუდმივი მოლოდინი, რომ ლარი გაუფასურდება, რომ ფასები გაიზრდება, ბიზნესი ვერ გეგმავს თავის მომავალს, ვინაიდან არ იცის, თუ როგორი იქნება ლარის კურსი დღეს, ხვალ. ქვეყანა არის იმპორტზე დამოკიდებული და ნებისმიერი ლარის ასეთი მკვეთრი რყევები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, ეს ყოველთვის ბიზნესგარემოზე მოქმედებს ცუდად, – განაცხადა გოცირიძემ.

# „ეს ქმედება არის სასიკვდილო ცოდვა, ღმერთი დაგვსჯის ამის გამო“

დეკანოზი დავით ქვლივიძე 18-24 ივნისს დაგეგმილ „თბილისი პრაიდს“ ეხმაურება და აცხადებს, რომ პრაიდი არ უნდა გაიმართოს.

– ეს ქმედება არის სასიკვდილო ცოდვა. ამ ქმედების გამო ნადგურდებიან პიროვნებები, ნადგურდებიან ოჯახები, ინგრევა სახელმწიფოები. წარღვნის მიზეზიც ეს იყო. სოდომი და გომორი ამის გამო დაიწყო და დღეს ამის მაგალითი მკვდარი ზღვაა.

ამის გამო ინგრეოდა უდიდესი იმპერიები. რომის იმპერია ამის გამო დაინგრა, ბიზანტიის იმპერია ამიტომ დაემხო. წარმოიდგინეთ, რა მოუვა საქართველოს, პატარა ქვეყანას, მსგავსი რამ რომ მოხდეს. ეს იქნება დაღუპვის დასაწყისი. ღმერთი დაგვსჯის ამის გამო. ამიტომ ვართ ჩვენ შეწუხებულები. ვხედავთ ნათლად, რა დღეშია ქვეყანა, თავის დაცვის უნარი არ გააჩნია. ჯარი ჩვენ არ გვყავს, არაფერი ჩვენ არ გვყავს, ერთადერთი, ღმერთის იმედი გვაქვს და რაღაცა ძალები ცდილობენ, რომ ღმერთთანაც დაგვაპირისპირონ, – განაცხადა დეკანოზმა „მედიაცენტრ მთავარში.“

# ნინო გოგუაძე: „ხელისუფლება შეზრდილია კრიმინალთან... არჩევნებში ამდენი კრიმინალი არ მინახავს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***– ხომ არ გეგმავთ რაღაცა სახის პროტესტის გამოხატვას, თუნდაც ქუჩის აქციებით გაპროტესტებას იმის, რაზეც ახლა საუბრობთ?***

– პროტესტის გამოხატვას არ ვაპირებთ. ჩვენ ვაპირებთ, რომ მივმართოთ სამართლის ფორმებს. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ შესაძლოა შედეგი არ მოჰყვეს, მაგრამ ჩვენ ამ გზას გამოვიყენებთ. ამასთანავე ჩვენ ვაპირებთ ვიმუშაოთ ხალხთან აუცილებლად და რაც მთავარია, ადამიანებს მაინც დავუბრუნოთ იმის რწმენა, რომ ამ ქვეყნისთვის და სახელმწიფოსთვის ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით ალტერნატივა არ აქვს. სხვა სცენარს ეს სახელმწიფო ვერ გადაიტანს.

***– ბუნებრივია, პოლიტიკურ პროცესს ახლავს შეცდომებიც. აპირებთ, რომ შეცდომებიც გააანალიზოთ?***

– რასაკვირველია. გავაანალიზებთ შეცდომებს. ნათქვამია „ძალა აღმართს ხნავსო“, მაგრამ კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ სიმართლის ძალა ყველაზე მაგარი ძალაა და აუცილებლად დაამარცხებს ამ უსამართლობას.

რასაკვირველია, გავაანალიზებთ შეცდომებსაც. რაც არ უნდა იძახონ ჩვენი მისამართით ახლა, რომ როგორ შეიძლებოდა ეს და ის, საზოგადოებაში პოლიტიკური ძალების ინტეგრაციის პროცესს ალტერნატივა არ აქვს. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ინტეგრაციული პროცესების წარმართვა, ოღონდ არა იდენტობის ხარჯზე. აუცილებლად იქნება ეს. ჩვენი ბლოკი „ევროპულ საქართველოსთან“ დასრულდა, მაგრამ თანამშრომლობა გაღრმავდება, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ სხვა ადამიანები და სხვა პოლიტიკური ძალებიც შემოგვიერთდებიან.

***– ბლოკი რატომ დასრულდა?***

– ბლოკი საარჩევნოა და, რა თქმა უნდა, ვერ დარჩება, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება და როგორ ფორმატს მიიღებს ეს, მარტო ეს ორი პოლიტიკური ძალა ვიქნებით, სხვა პოლიტიკური ძალები თუ სუბიექტები შემოგვიერთდებიან და სხვა, ამას მიმდინარე პროცესები გამოაჩენს.

# დავით ჭიჭინაძე: „რატომღა ვიღებთ ამ კანონებს, თუკი ხვრელები მაინც რჩება – გაგვიმეორდება „ცენტრ პოინტი“

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე დღევანდელ საპარლამენტო მოსმენაზე, სადაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე წლიურ ანგარიშს წარადგენს, დეველოპერული კომპანიების მიერ შიდა განვადებების მიმართ ეროვნული ბანკის კონტროლის მექანიზმებით დაინტერესდა.



**დავით ჭიჭინაძე:**

– ჩვენ რეგულაციებით ავკრძალეთ სესხების გაცემა ბანკების მხრიდან, მაგრამ ვებრძოდით იმას, რომ საერთო არ გაცემულიყო სესხები. თუ გვერდიდან გავა თანხა, ამას შეფარულად ჰქვია განვადებით გაყიდვა. ბევრი ტრანზაქცია არ რეგისტრირდება საჯარო სექტორში, თქვენ ამას როგორ აკონტროლებთ? რა მექანიზმი გაგაჩნიათ.

თქვენ სესხების მოცულობას პრაქტიკულად ვერ ხედავთ. რადგან ბინების გასხვისების ტრანზაქციები არ მცირდება, ე.ი. ამან სადღაც გადაინაცვლა. თქვენ იძახით, რომ იცავთ მომხმარებელს, როგორ იცავთ მომხმარებელს, რომელიც არ ჩანს. იქ ვერც პროცენტს ხედავთ, ამას ჰქვია შიდა უპროცენტო განვადება, პროცენტი როგორ უნდა დაინახოთ იქ, როდესაც ფასშია ჩადებული. ამიტომ ან დავაბრუნოთ რეგულაციები და ბანკებს მივცეთ უფლება შიდა განვადების მსგავსად გამარტივებული პირობებით გასცენ იპოთეკური სესხები ან ავუკრძალოთ დეველოპერებსაც შიდა განვადების სესხის გაცემის ვადა თუნდაც. არ შეიძლება 8, 10 და 12 წლიანი განვადებები არსებობდეს, ეს არ არის განვადება, ნებისმიერი პროექტი მთავრდება 2-3 წელიწადში. ჩვენ მაშინ უნდა ვიცოდეთ, ამ კომპანიას საიდან გააჩნია ის ფინანსური რესურსი, რომ 10 და 12 წელი მისცეს ვიღაცას, არ შეიძლება ვიღაცის გადახდილი ფული ჩვენ რისკის ქვეშ დავაყენოთ, გაგვიმეორდება „ცენტრ პოინტი“. თუ გაართულეთ სესხი მაშინ კეთილი ინებეთ და ესეც ჩაკეტეთ. ჩვენ ვიბრძვით, რომ ეკონომიკა ჩრდილიდან გამოვიდეს ნათელში და აქ კიდევ პირიქით, ღიადან შევიდა ჩრდილში. ამას როგორ აკონტროლებთ?

**კობა გვენეტაძე:**

– ჩვენ შიდა განვადებებზე სრული ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ ვიცით, რომ გარკვეულწილად არის ეს მიმართულება და ჩვენ ამას ვუყურებთ. 10–12 წლიანი განვადება არ მინახავს. რაც შეეხება იმას, რომ გართულდა სესხის გაცემები, მე ვიტყოდი, რომ გაჯანსაღდა. გაიცემა სესხები, რომლის დაბრუნების შანსი და ალბათობა არის გაცილებით მაღალი, ვიდრე ადრე იყო. ვაკვირდებით პროცესებს და თუ რამე ზომები იქნება მისაღები, მივიღებთ ამ ზომებს. თქვენ ისიც იცით, რომ სესხის გამცემ სუბიექტებთანაც არსებობს გარკვეული მოთხოვნები.

**დავით ჭიჭინაძე:**

– სესხს არ არქმევენ ბატონო კობა, ჰქვია განვადებით გაყიდვა. რეალურად ეს თქვენთან არ შემოდის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს სესხია. რადგანაც არ ხდება გადაფორმება და იპოთეკით დატვირთვა, ამიტომაც სესხად არ ვღებულობთ. მთელი პრობლემა ჩვენ გვაქვს იმაში, თუ რისი გაკეთება გვინდა და რეალობაში რას ვღებულობთ. არაპროფილურ საქმიანობას ვკრძალავთ და ვტოვებთ გვერდზე შემოვლით გზებს, მაშინ რატომღა ვიღებთ ამ კანონებს თუ ეს ხვრელები მაინც რჩება, რას ვერჩოდით იმ ადამიანებს, ვინც ბანკში მიდიოდა. გამოვიდა ისე, რომ ვისაც ოდნავ პატიოსნება ადარდებს, ის ყოველთვის წაგებული რჩება და ვისაც შემოვლითი გზები აქვს მონახული, ის ადამიანები იგებენ. არ შეიძლება ასე, ეკონომიკა ასე არ კეთდება.

**კობა გვენეტაძე:**

– დაგეთანხმებით სამშენებლო კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ფინანსური სექტორის წარმომადგენლებთან. იმ წესებს და რეგულაციებს, რაც ჩვენ შემოვიღეთ, ყველას ჰქონდა თავისი მიზეზი. შიდა განვადებების საკითხი არ არის ისეთი მასობრივი და დიდ თანხებთან დაკავშირებული. მაგრამ ჩვენ ამ საკითხებს ვუყურებთ და თუ ცვლილებებია საჭირო, ეს ცვლილებებიც განხორციელდება.

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 6.3 პროცენტით შემცირდა




წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის I კვარტალში 281.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 6.3 პროცენტით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2019 წლის I კვარტალში 75.1 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სექტორში განხორციელდა და 139.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49.7 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 42.7 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – ტრანსპორტის სექტორი 28.6 მლნ აშშ დოლარით.

**კომერსანტი**

# კობა გვენეტაძე: „გრძელვადიან პერიოდში ლარი უნდა იყოს სტაბილური და ამავე დროს, ქვეყანას საკმარისი რეზერვი ჰქონდეს“

სავალუტო რეზერვების ზრდა ეროვნული ბანკისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, – ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ, განაცხადა გასულ კვირაში ეროვნული ბანკის მიერ 30 მლნ აშშ დოლარის შესყიდვასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ლარის კურსს, კობა გვენეტაძის განცხადებაში მოკლე ვადაში, შესაძლოა იყოს რყევები, ეროვნული ბანკის მიზანია, კურსის სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში.

– უკვე აღვნიშნე და ადრეც აღმინიშნავს, რომ სავალუტო რეზერვების ზრდა ეროვნული ბანკისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგანაც ეს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის რისკპრემიუმის შემცირებაში, რომლის შემდეგაც მცირდება ის ფასი, რომლითაც საქართველოს ეკონომიკის აგენტები სესხულობენ უცხოური ბაზრებიდან. ამიტომ მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს.

რაც შეეხება პოლიტიკას, რომელსაც ეკონომიკური გუნდი ატარებს, ჩვენი ძირითადი მიზანი არის კურსის სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში, მოკლევადიან პერიოდში შესაძლებელია იყოს რყევები. ამ შემთხვევაში ეროვნულმა ბანკმა უნდა ნახოს ბალანსი, რომლითაც მიზანი, გრძელვადიან პერიოდში ლარი იყოს სტაბილური და ამავე დროს, საკმარისი რეზერვი ჰქონდეს ქვეყანას, რათა პოტენციურ რისკებს გაუმკლავდეს, არის მნიშვნელოვანი. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს ეროვნული ბანკი, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკი აწარმოებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ასევე, მისი ხელმძღვანელის კრისტინ ლაგარდის შეფასებებით, ცალსახად მოწონებულია.

მიმდინარე წლის 6 ივნისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 10.000.000 აშშ დოლარი იყიდა, 7 ივნისს კი, 20.000.000 აშშ დოლარი შეისყიდა.

**კომერსანტი**

# ცვლილება საქართველოს უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სიაში

2019 წლის 1-ელი კვარტლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყანა ირლანდია იყო.

ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

კერძოდ, „საქსტატის“ ცნობით, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ირლანდიიდან ქვეყანაში 133.2 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, მაშინ როცა, 2017 წელს ინვესტიციის მოცულობა 0 დოლარი; ხოლო 2018 წლის პერიოდში მხოლოდ 0.5 მლნ დოლარი; 2018 წლის 1-ელ კვარტალში კი ასევე 0 დოლარი იყო.



ინვესტიციების მოცულობით, ირლანდიას მოსდევს გაერთიანებული სამეფო – 42.4 მლნ დოლარით; მე-3 ადგილზე კი ამერიკის შეერთებული შტატებია – 22.5 მლნ დოლარით. ჩამონათვალში მე-4 და მე-5 პოზიციებს – იაპონია და პანამა, შესაბამისად, 18.2 მლნ დოლარითა და 16.7 მლნ დოლარით ინაწილებენ. ჩამონათვალში მოხვდნენ ასევე: აზერბაიჯანი, რუსეთი და დანია.

შეგახსენებთ, რომ წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის 1-ელ კვარტალში 281.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის 1-ელი კვარტლის წინასწარ მონაცემებზე 6.3 პროცენტით ნაკლებია.

**კომერსანტი**

# „ვერეს ხეობაში, სადაც 4 წლის წინ ტრაგედია დატრიალდა, მრავალსართულიანი კორპუსების ინტენსიური მშენებლობები მიმდინარეობს“

„საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია“ ვერეს ხეობაში მიმდინარე მშენებლობების შესახებ ინფორმაციასა და ფოტოებს „ფეისბუქის“ გვერდზე ავრცელებს.

ასოციაციის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– ახლოვდება 13 ივნისი, საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღი. ზუსტად 4 წლის წინ, 13 ივნისს მდინარე ვერემ წარმოუდგენელი ტრაგედია დაატრიალა. უცაბედად მოვარდნილ ღვარცოფს 23 ადამიანი ემსხვერპლა.

მაშინ ხელისუფლებამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ყველანაირი მშენებლობა აიკრძალებოდა ვერეს ხეობაში. უფრო მეტიც, გაიცა დაპირება, რომ ხეობაში მცხოვრებლებს გაიყვანდნენ სახიფათო ზონიდან. ეს დაპირება არ შესრულდა. ამიტომ მათი სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია!

ჩვენი ორგანიზაცია დაინტერესდა ვერეს ხეობაში დღეს არსებული სიტუაციით. ადგილზე ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვერეს ხეობაში, სიცოცხლისთვის საშიშ ზონაში, იქ, სადაც 23 ადამიანი ემსხვერპლა სტიქიას, მიმდინარეობს მრავალსართულიანი კორპუსების ინტენსიური მშენებლობა. ყველა ნეიტრალური გეოლოგი და ჰიდროლოგი აღნიშნავს, რომ ხეობაში ცხოვრება საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს!



მშენებლობებზე ნებართვები გაცემულია თბილისის მერიის მიერ, ამიტომ მივმართავთ დედაქალაქის მერს კახა კალაძეს: დაუყოვნებლივ მოახდინეთ რეაგირება აღნიშნულ ფაქტებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელ ტრაგედიებზე, თითოეულ მსხვერპლზე, მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ და თბილისის მერიას (ფოტოები გადაღებულია 9 ივნისს, 2019 წელს), – წერია ასოციაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**კომერსანტი**

# რას გეგმავს სებ-ი ლარის კურსსა და ინფლაციასთან დაკავშირებით?

პარლამენტში ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ სებ-ის 2018 წლის ანგარიში წარადგინა. მოხსენების დასრულების შემდეგ სებ-ის პრეზიდენტს კითხვებით მიმართეს, მათ შორის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ.



– საბანკო სისტემის აქტივები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ძალიან გაზრდილია, თითქმის 90%-ია. მაინტერესებს თქვენი, როგორც ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის ხედვა – რა ძირითად გამოწვევებს ხედავთ საბანკო სისტემის წინაშე სტაბილურობისა და მდგრადობის კუთხით და ადრე მახსოვს, სტრეს-ტესტები ტარდებოდა და თუ აკეთებთ ამ ტესტებს?

მეორე საკითხი – სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 2019 წლის განვლილ პერიოდში სამომხმარებლო სესხები შემცირებულია. ელოდებით თუ არა სამომხმარებლო სესხებს მოცულობის აღდგენას და დაახლოებით, რა პერიოდში?

მესამე – ინფლაცია 4.7% გვაქვს და რაიმეს გაკეთებას აპირებთ თუ არა, რომ მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდეს?

რაც შეეხება ლარის კურსს – აქ ერთ ფაქტორს გავუსვამდი ხაზს. როდესაც ასეთი რყევა არის, აქვს თუ არა რაიმე ინსტრუმენტი ეროვნულ ბანკს, რომ როდესაც ასეთი ამპლიტუდაა, სიტყვას ჩავამატებდი, ეს კბილები რომ მოიხსნას. ამაზეა აქ საუბარი და ეს ამპლიტუდა მინიმუმამდე რომ იყოს დაყვანილი.

თუ ჩვენ პროგრესი გვაქვს საბანკო სექტორის განვითარების კუთხით, ძალიან ბევრია გასაკეთებელი ფასიანი ქაღალდების მიმართულებით, სადაც ვფიქრობთ, რომ გარკვეული ჩამორჩენაა ნამდვილად. ბევრია გასაკეთებელი. რა გეგმები გაქვთ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებით? – მიმართა კითხვით დეპუტატმა სებ-ის პრეზიდენტს.

# აგარაში მამაკაცმა ცოლი დაჭრა, მეზობელი მამაკაცი კი მოკლა

## „კაცს 16-ჯერ დაარტყა დანა, ცოლს — 13-ჯერ“

9 ივნისს, გვიან ღამით მკვლელობა და დაჭრა მოხდა დაბა აგარაში — კაცმა მეუღლე დაჭრა, თანასოფლელი მამაკაცი კი მოკლა.

ქალს და მამაკაცს ჭრილობები ცივი იარაღით აქვთ მიყენებული.

დანაშაულის სავარაუდო მოტივი ეჭვიანობაა.

50 წლის ქალი ქარელის ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავსეს.

— პაციენტი კლინიკაში უმძიმესი მდგომარეობით შემოვიდა. მას სხეულის სხვადასხვა არეში, ბასრი საგნით მიყენებული 10-ზე მეტი ჭრილობა აღენიშნება. დაზიანებები მიყენებული აქვს კისრის, სახის, გულ-მკერდის წინა და უკანა ზედაპირის არეში, ასევე მუცლის არეში რამდენიმე შემავალი ჭრილობაა.

პაციენტს დაზიანებული აქვს კუჭი, ფილტვები. გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა, მისი მდგომარეობა კვლავ კრიტიკულია, — განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ ქარელის ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგმა ლექსო ხეთაგურმა.

ბრალდებული პოლიციამ დააკავა.

— ადგილზე იყო, არ გასულა ეზოდან, იძახდა, რომ ორი კაცი მოვკალიო და შეგიძლიათ წამიყვანეთო — ამბობს თვითმხილველი.

მოკლულია 41 წლის ირაკლი გელაშვილი, რომელიც ბრალდებულის მეზობელია. მას 16




ჭრილობა აქვს მიყენებული. 50 წლამდე მამაკაცი ირაკლი გელაშვილს თავს მაშინ დაესხა, როდესაც ის აფთიაქიდან გამოვიდა. ამის შემდეგ ის სახლში მივიდა და მეუღლე დაჭრა, რომელსაც 13 ჭრილობა მიაყენა.

ქალი „გორმედში“ რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს. მედიკოსების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

— არც იყო 11-ის ნახევარი, ახალი ამოსულები ვიყავით სახლში და მეზობელმა დაგვირეკა, რომ ავთო ჰქვია ბიძაჩემს და დადისო სისხლიანი დანით და იძახისო, რომ ორი კაცი მოვკალიო. მერე ჩამოვიდა დედაჩემი დაბლა და რომ ავიდა სახლში, გონზე იყო და იძახდა, მიშველეთო. გონება აქვს დაკარგული ახლა. ძალიან მძიმედ არის, — განაცხადა თვითმხილველმა.

ინფორმაციას მომხდარის შესახებ არ ფლობს დაჭრილი ქალის დედა. მან მხოლოდ ის იცის, რომ მისი შვილი მძიმე მდგომარეობაშია. დაჭრილის დედის თქმით, მის შვილს მეუღლესთან კონფლიქტი არ ჰქონია.

ბრალდებულის დედა ამბობს, რომ მის შვილს ფსიქიკური პრობლემები აქვს. ის ვერ აკონკრეტებს, თუ რა მოხდა საბედისწერო ღამეს.

— არაფერი არ ვიცი, შვილო. მე გავიგე 10 საათზე დღეს. მითხრეს, რომ წუხელის ავთო დააკავესო. ვერავინ ინატრებს იმისთანა ცოლქმრობას, მაგათ რომ ჰქონდათ. ეს არის დაავადებული, ავადმყოფი არის და ძალიან მალე ფსიხდებოდა და ყველაფერს ერიდებოდა, რომ არავისთან კამათი და კონფლიქტი არ მოსვლოდა, — განაცხადა ბრალდებულის დედამ.

მოკლული 41 წლის მამაკაცის სიმამრის ინფორმაციით, მოკლულს არაერთი ჭრილობა აქვს მიყენებული როგორც ტანზე, ისე სახეზე.

როგორც გივი ოსაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ინფორმაცია ჭრილობების შესახებ ექსპერტიზის შედეგად გახდა ცნობილი. ოსაძე მკვლელობის მიზეზებზე ვერ საუბრობს და არ გამორიცხავს, რომ დანაშაულის ჩამდენს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

— შვილმა დამირეკა, მამა, ზვიადი დაჭრეს და მოდიო. გავიქეცი, მივედი და ვნახე, რომ სულ დაჩეხილია. ჯერ მარტო სახეზეა სულ დაჩეხილი და ტანზე. ექსპერტი რომ კერავდა თურმე, ველარ დავთვალეთო, იმდენი ჭრილობა იყო და დავანებეთ თავი თვლასო. ყველას უკვირს, არ ვიცი, რა მოხდა. ფსიქიკურადაა დაავადებული თუ რა მოუვიდა, არ ვიცი, — განაცხადა მოკლულის სიმამრმა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის, ასევე, ორი ან მეტი პირის და ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით, 11 პრიმა 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მკვლელობის ადგილზე მიიყვანეს და საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატარეს.

# გორში 18 წლის კ.წ.-მ პოლიციის მანქანა გაიტაცა და ავტობანზე დაამტვრია

## ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილს 10 პოლიციელი დაესხა თავს



შსს-მ დააკავა არასრულწლოვანი, რომელმაც პოლიციის მანქანა გაიტაცა და ავტობანზე ავტოსაგზაო შემთხვევაში მოჰყვა.

შსს-ს ინფორმაციით, 2001 წელს დაბადებული მოზარდი სოფელ ორთაშენში დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი — 2001 წელს დაბადებული კ.წ., ძარცვის ბრალდებით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ორთაშენში დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დღეს გამთენისას გორში, გურამიშვილის ქუჩაზე, ტარდებოდა ოპერატიული ღონისძიება, როდესაც ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა არასრულწლოვანმა, კ.წ. -მ ისარგებლა შექმნილი გარემოებით, ჩაჯდა სამართალდამცველის სამსახურებრივ მანქანაში და დიდი სისწრაფით თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე გავიდა. მან ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა და ავტომაგისტრალზე მოძრავ „ფორდ ტრანზიტს“ შეეჯახა. კ.წ.-მ ავტომობილი შემთხვევის ადგილზე მიატოვა, თავად კი მიიმალა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

სამართალდამცველებმა მის ადგილსამყოფელს მალევე მიაკვლიეს და დააკავეს. გამოძიება საქართველოს სსკ-ს 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, — აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

ქართლი ჯი-ს ჟურნალისტს, რომელიც შემთხვევის ადგილთან ფოტო და ვიდეო მასალის გადასაღებად მივიდა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

— როგორც კი გადმოვედი მანქანიდან, ჩემსკენ წამოვიდნენ. ვცადე იმ ადგილამდე მისვლა, საიდანაც ხილვადობა კარგი იყო. ბორდიურსა და მანქანებს შორის მივდიოდი. თავს 10-მდე პოლიციელი დამესხა.

ერთმა ტელეფონის წართმევა სცადა, მეორემ ხელი მკრა და ბეჭებში ჩამარტყა. დანარჩენებმა ძალის გამოყენებით დამატოვებინეს ტერიტორია. ამის შემდეგ წამოვედი, ავტობანის მეორე მხარეს გადავედი გვირაბთან შემოვუარე და მეორე ხიდიდან დავიწყე გადაღება. მეორე ხიდზე ველარ მომიახლოვდებოდნენ. ხიდიდან ხიდზე ვერ გადმოხტებოდნენ, — აცხადებს ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი.

ერთ-ერთმა პოლიციელმა მობილური ტელეფონის წართმევაც სცადა. ჟურნალისტს პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება შიდა ქართლის შს სამმართველოს თანამშრომლებმა არ მისცეს. ხელშეშლის და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტის ამსახველი მასალა გენერალურ ინსპექციას წარედგინება.

შსს-ს ცნობით, მომხდარზე გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა უკვე დაიწყო.

# ლევან როსტოშვილი ციხიდან გამოუშვეს



ტელეწამყვანი ლევან როსტოშვილი პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის გადაწყვეტილებით გაათავისუფლეს,

ამბების ინფორმაციით, როსტოშვილმა ციხე რამდენიმე კვირის წინ დატოვა.

— გიდასტურებთ, ლევან როსტოშვილი თავისუფალია და თავს კარგად გრძნობს. ის პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლდა და ამის გადაწყვეტილება, მისი ქცევიდან გამომდინარე მიიღო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალურმა კომისიამ, — განუცხადა ამბებს როსტოშვილის ადვოკატმა მალხაზ სალაყაიამ.

ლევან როსტოშვილი მსჯავრდებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვას გულისხმობს. მას თავისუფლების აღკვეთა 8 წლით 2017 წლის მარტში მიუსაჯეს. 2017 წლის 5 ივნისს როსტოშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, რომლის საფუძველზეც მას სასჯელის ვადა შეუმცირდა და 3 წელი განესაზღვრა. გარდა ამისა, როსტოშვილს 40 ათასი ლარი ჯარიმის გადახდა და პირობითი სასჯელი დაეკისრა.

# მარტვილში 16 წლის გოგონამ თავი ჩამოიხრჩო

## „ყველანი საშინელ დღეში აღმოვჩნდით“




მარტვილში სოფელი ნალეფსაოში 16 წლის გოგონამ თავი ჩამოიხრჩო. მისი ცხედარი, როგორც მეზობლები ამბობენ, სახლის ბოსელში იპოვეს.

იგი მეათე კლასის მოსწავლეა.

მეზობლების ინფორმაციით, გოგონას ფინანსურად ძლიერი ოჯახი ჰყავს. შესაბამისად, თვითმკვლელობის მოტივად სოციალურ ფაქტორებს გამორიცხავენ.

ოჯახისთვის თვითმკვლელობის მოტივი უცნობია.

— ყველანი საშინელ დღეში აღმოვჩნდით, დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. გაოგნებულები ვართ, — ამბობენ მეზობლები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# სანზონაში გარდაცვლილი 4 წლის ნინო ზალინაშვილის მამინაცვალი არკადი ძავაშვილი დააკავეს

სანზონაში გარდაცვლილი 4 წლის ნინო ზალინაშვილის მამინაცვალი არკადი ძავაშვილი დააკავეს. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურაში დაუდასტურეს. როგორც უწყებაში განმარტავენ, დაკავებული ლელა ქსოვრელის მეუღლე სამართალდამცავებმა 20 მაისს დააკავეს.

არკადი ძავაშვილს ბრალი საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით წარედგინა, რაც ოჯახში არასრულწლოვნის მიმართ ძალადობას გულისხმობს.

ნინო ზალინაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით დაკავებულია ასევე გოგონას დედა ლელა ქსოვრელი.

შეგახსენებთ, რომ ლელა ქსოვრელი შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევისთვის დააკავეს, თუმცა, გამოძიების მიმდინარეობისას, მას ბრალი სხვა მუხლითაც წაუყენეს. პროკურატურის ინფორმაციით, 4 წლის გოგონას ქსოვრელმა თავის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით, რამაც მცირეწლოვანი გოგონას ტვინის მკვეთრი შეშუპება და სისხლჩაქცევა გამოიწვია, რის შემდეგაც ის გარდაიცვალა.

2019 წლის 25 თებერვალს ლელა ქსოვრელს წარედგინა დაზუსტებული ბრალი საქართველოს სსკ-ის 111.117-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი წი-



ნასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. ასევე, 111.126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის სისტემატურ ცემასა და ძალადობას გულისხმობს, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და 111.381-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წლის 21 იანვრიდან 22 იანვრამდე ღამის პერიოდში, ლ.ქ.-მ თავის არასრულწლოვან შვილს ნ.ზ.-ს თავის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით. მიყენებულმა დაზიანებებმა გამოიწვია სისხლჩაქცევა და თავის ტვინის მკვეთრი შეშუპება, შედეგად 2019 წლის 22 იანვრის დილის საათებში ნ.ზ. გარდაიცვალა.

გამოძიება ასევე დაწყებულია გარდაცვლილი გოგონას 5 წლის ძმის, ლ. ქ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებების თაობაზე. აღნიშნული საქმე ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი ლელა ქსოვრელის ბრალდების საქმიდან. გამოძიება ასევე მიმდინარეობს სოციალური მუშაკების მხრიდან შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტთან დაკავშირებით.

# ავარია მეტრო სარაჯიშვილთან

## 2 ადამიანი დაშავდა



9 ივნისს თბილისში ავტოავარიის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა. შემთხვევა მეტროსადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

შუქნიშანზე გაჩერებულ მანქანას უკნიდან ავტომობილი დაეჯახა, რამაც მის წინ მდგომი მანქანის დაზიანებაც გამოიწვია. დაშავებულები კლინიკებში გადაიყვანეს. მათი მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

# მოლდოვის ახალმა პრეზიდენტმა პარლამენტი დაშალა

## პარლამენტი მუშაობას მაინც აგრძელებს

მოლდოვაში მდგომარეობა იძაბება. ოლიგარქ პლახოტნიუკის მმართველობიდან გათავისუფლებისაკენ მისწრაფებამ ფრიად კურიოზული ალიანსი წარმოქმნა – პროევროპელები და პრორუსები ერთმანეთს დაუკავშირდნენ.

პლახოტნიუკი მილიარდერია. მას არც ერთი სახელმწიფო თანამდებობა არ უკავია. ის მხოლოდ დემოკრატიული პარტიის ლიდერია, მაგრამ ამავე დროს რეალური ბერკეტები სწორედ მას უპყრია. ის ქვეყნის არაფორმალური მმართველია. უკრაინელი ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი, რომელიც მოლდოვაში შექმნილ ვითარებას კარგად იცნობს, აცხადებს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, პლახოტნიუკი მოლდოვის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას და რუსული კაპიტალის შესვლას ხელს უშლიდა, შესაბამისად, მოსკოვს პრობლემებს უქმნიდა.

– პლახოტნიუკს ესმის, რომ ევრაზიულ კავშირში შესვლა რუსული კაპიტალის შემოდინებას გამოიწვევს, ეს კი პირადად მისთვის კატასტროფაა. რუსი კაპიტალისტები პლახოტნიუკს ელემენტარულად შეჭამენ, – წერს პორტნიკოვი.

ალიანსმა შედეგი გამოიღო. მაია სანდუ პრემიერი გახდა. პლახოტნიუკის პასუხმაც არ დააყოვნა. მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლომ სოციალისტების ლიდერი, პრორუსული ორიენტაციის დოდონი პოსტიდან გადააყენა, ახალი საპარლამენტო უმრავლესობა კი ანტიკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.



პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება პლახოტნიუკის თანამებრძოლს და ყოფილ პრემიერს პავლე ფილიპს დაეკისრა.

დოდონმა თანამდებობის დატოვებაზე უარი განაცხადა:

– ე. წ. საკონსტიტუციო სასამართლო ოლიგარქების კონტროლ ქვეშაა! მათ დადგენილებასაც არ ვემორჩილები, – თქვა მან.

პასუხად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა პაველ ფილიპმა პარლამენტი დაითხოვა და ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ გამოაცხადა. დეპუტატები ამას არ დაემორჩილნენ. სოციალისტები და მაია სანდუს მიმდევრები პარლამენტის შენობაში გამაგრდნენ, პლახოტნიუკის მომხრე დემოკრატიული პარტიის წევრთა კოლონები კი პარლამენტისკენ დაიძრნენ:

– ძირს თვითმარქვია პარლამენტი! მოვითხოვთ მის დაშლას!

პარლამენტის შენობაში გამაგრებულ დეპუტატებს გამოურთეს დენი, შეუწყვიტეს წყალი. რუსეთის წარმომადგენელმა სენატორმა პუშკოვმა პლახოტნიუკის ასეთი ქმედება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა. ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმაც მხარი პარლამენტს დაუჭირა.

– პრეზიდენტი დოდონი, ისევე, როგორც პარლამენტი, ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანოებია, – თქვა მან.

ნატოს წარმომადგენელმა ლუნგესკუმ მოლდოვაში შექმნილი მდგომარეობით შეშფოთება გამოთქვა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ფილიპი კი როგორც დეპუტატებს და პრემიერ სანდუს, ასევე დოდონსაც ემუქრება.

– თქვენი მოქმედებისთვის პასუხს აუცილებლად აგებთ! – აცხადებს იგი.

მოლდოვაში დაპირისპირება გრძელდება.

# ალბანეთში, საპროტესტო გამოსვლების გამო, არჩევნები გაუქმდა



ალბანეთის პრეზიდენტმა ილირ მეტამ თვის ბოლოს დაგეგმილი მუნიციპალური არჩევნები გააუქმა, რადგან ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ედი რამას გადადგომის მოთხოვნით მრავალათასიანი საპროტესტო აქციები მიმდინარეობს.

ოპოზიციის ლიდერი ლულზიმ ბაშა და მისი მომხრეები პრემიერს კორუფციასა და 2017 წლის არჩევნების შედეგებით მანიპულირებაში სდებენ ბრალს.

ილირ მეტას მიაჩნია, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა უნდა განელდეს. – წინააღმდეგ შემთხვევაში უზრუნველყოფილი ვერ იქნება საჭირო პირობები ნამდვილი, დემოკრატიული, წარმომადგენლობითი და საყოველთაო არჩევნებისათვის, – განაცხადა მან.

პრეზიდენტმა დასძინა, რომ კრიზისმა შეუძლებელი გახადა ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყება.

ედი რამას „ალბანეთის სოციალისტური პარტია" აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით სარგებლობს და დღემდე ინარჩუნებს ძალაუფლებას.

# ზელენსკის პარტიის ყრილობა კარავში გაიმართა

## სტუმრებს შაურმით გაუმასპინძლდნენ



კიევში პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის პარტიის „ხალხის მსახური" ყრილობა გაიმართა.

ყრილობაზე დეპუტატობის კანდიდატთა პირველი 100-კაციანი სია წარადგინეს. სიას პირველი ნომერი პარტიის ლიდერი დმიტრი რაზუმკოვია.

ყრილობა ქალაქის ბოტანიკურ ბაღში, მწვანე კარავში ჩატარდა.

კარვამდე სტუმრები გოლფის მანქანებით მიიყვანეს და შაურმით გაუმასპინძლდნენ.

თავად ზელენსკის განცხადებით, მას შაურმა ძალიან უყვარს.

# ყაზახეთი: არჩევნები მასობრივი დაკავებების ფონზე



ყაზახეთში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ეს მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მოხდა. ხელისუფლებამ გამოსვლები ჩაახშო. დაკავებულია 200-მდე მანიფესტანტი.

არჩევნებში სახელისუფლებო კანდიდატმა ტოკაევმა გაიმარჯვა. მან ხმების 70% მიიღო და პრეზიდენტი გახდა.

# რატომ დააპატიმრეს ჟურნალისტი გოლუნოვი?!



რუსეთში თავისუფალი სიტყვის დევნა გრძელდება. ამისი ნათელი დადასტურებაა „მედუზას" ჟურნალისტ ილია გოლუნოვის დაპატიმრება. მას ნარკოტიკების შენახვა– გასაღებაში ედება ბრალი.

თავად გოლუნოვი ბრალდებას უარყოფს.

– ცხოვრებაში ნარკოტიკები არასოდეს შემიძენია, არ მიხმარია და არც გამისაღებია, – აცხადებს იგი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გოლუნოვის დაკავების ძირითადი მიზეზი ფსბ-ს გენერლის დოროფეევის და მისი თანაშემწის პოლკოვნიკ მედოევის საქმიანობის შესწავლაა. ამას პროვოკაცია და ჟურნალისტის დაკავება მოჰყვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე განდომა სწორი კვებით აპარატის გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქაფიანი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერვიზერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ხელბურთელთა ნაკრები ჯგუფის ლიდერია

საქართველო-მალტა 39:13

თბილისი. ოლიმპიური სასახლე

**საქართველო:** ცინცაძე, (თევზაძე); დიხამინჯია (8), ცხოვრებაძე (6), კალანდაძე (6), მიქავა (4), გოგოლაძე (4), იმნაძე (4), ორჯონიკიძე (2), კბილაშვილი (2), არსენაშვილი (2), რუსტამოვი (1) (ჩიქოვანი, ჭანტურია)

**მალტა:** ჟ.პ.კარუანა, გალეა, გაუჩი; ჯ.ფენეჩი (4), ზაიფერტი (3), შიკლუნა (2), ჰარისონი (2), დ.ფენეჩი (1), მ.კარუანა (1), ჩაპარა, რიცო, აზოპარდი, ნაუდი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთა ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩიც მოიგო. 39:13 დავამარცხეთ მალტა, ბურთების სხვაობით გადავასწარით ბულგარეთს და ლიდერები ვართ.

მალტასთან სასტარტო შემადგენლობიდან თამაში არ დაუწყიათ თევზაძეს, ჩიქოვანს, ჭანტურიას, რუსტამოვსა და არსენაშვილს. ნიკოლა მაქსიმოვიჩმა ყველას მისცა თამაშის საშუალება, ხოლო ვეტერანთა სამეული თევზაძე, ჭანტურია და ჩიქოვანი საერთოდ დაასვენა.

ახალგაზრდებს თამაშის დასალაგებლად დრო დასჭირდათ და მერვე წუთზე ანგარიში ჯერ კიდევ თანაბარი იყო – 3:3, ამის შემდეგ კი ქართველების უპირატესობა პროგრესულად იზრდებოდა. 16:7 შესვენებაზე და 39:13 თამაშის ბოლოს.

გოლი მოედანზე გასულმა ყველა მოთამაშემ გაიტანა მეკარე ცინცაძის გარდა, ყველაზე მეტი, გიორგი დიხამინჯიას (8) დაუგროვდა, ხოლო 17 წლის ნიკოლოზ კალანდაძემ ეროვნული ნაკრებების დონეზე მატჩის საუკეთესო მოთამაშის პირველი ჯილდო შთამბეჭდავი სტატისტიკით მიიღო: 6 დარტყმიდან 6 გოლი და 6 საგოლე პასი, პლუს 3 ჩაჭრილი ბურთი და 3 დაბლოკილი დარტყმა!




საქართველოს ნაკრები რომ კარგად შეკრული გუნდია, სასიამოვნო ჟესტით დაგვიდასტურა ირაკლი გოგოლაძემ: მატჩის ბოლოსკენ მოედანზე ერთადერთი უგოლო ხელბურთელი ხაზეინ რუსტამოვი იყო, რომელიც მწვრთნელმა დაასვენა და ცოტა ხნით ათამაშა, თუმცა, ჩვენს მარცხენა გარემარბს თამაში არ წაუვიდა და ორჯერ ააცილა. ერთ-ერთ ბოლო სწრაფ გარღვევაში გოგოლაძეს თავადაც შეეძლო გაქცევა და ბურთის უახლოესი პარტნიორისთვის გადაცემაც, მაგრამ მან საკმაოდ რთული პასი სწორედ რუსტამოვს მიაწოდა და თანაგუნდელს პირადი ანგარიში გაახსნევინა.

ჩვენს ჯგუფში ბულგარეთი თავიდან 11:3 უგებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, მეორე ტაიმში კი რამდენჯერმე წინაც გაუშვა მეტოქე, თუმცა, დაბოლოება მაინც უკეთ ჩაატარა – 38:35. ირლანდიისა და ნიგერიის მატჩში ჩემპიონატის პირველი ფრე დაფიქირდა – 31:31.

ა ჯგუფში 2 მოგებით ლიდერობს კუბა. თითო მოგება აქვთ აზერბაიჯანს, ბრიტანეთს, კოლუმბიასა და ჩინეთს.

# 20 წლამდე კალათბურთელთა ნაკრები ახალი მწვრთნელით შეკრებას იწყებს



საქართველოს 20 წლამდე ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს – მილოშ გლიგორიევიჩი, რომელსაც ასისტენტებად ჯაბა ბაქრაძე და ირაკლი ძიძიგური ეყოლება. გლიგორიევიჩი უკვე მე-5 წელია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტია. ჯერ იგორ კოკოშკოვთან მუშაობდა, ხოლო 2016 წლიდან დღემდე კი ილიას ზუროსის სამწვრთნელო შტაბის წევრია.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა კი შეკრება დაიწო და ევროპის ჩემპიონატისთვის (ბ დივიზიონი) ემზადება, რომელიც 12-21 ივლისს პორტუგალიის ქალაქ პორტოში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში 21 გუნდია, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. საქართველო 6-გუნდიან, ც ჯგუფში მოხვდა შვედეთთან, ჰოლანდიასთან, ესტონეთთან, კოსოვოსა და სომხეთთან ერთად. თითო ჯგუფიდან პლეი ოფში 2 საუკეთესო გადის და აგრძელებს ბრძოლას ტურნირის სამეულში მოსახვედრად. გათამაშების ფორმატის თანახმად, ბ დივიზიონის საუკეთესო 3 გუნდი მომავალ, 2020-21 წლების სეზონისთვის ელიტარულ, ა დივიზიონში იასპარეზებს.

საქართველოს ნაკრები ოფიციალურ მატჩებამდე სამწვრთნელო შეკრებებს გაივლის სლოვენიასა და უკრაინაში, სადაც ჯამში 5 სპარინგმატჩს გამართავს: მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილი გუნდი 14 ივნისს სლოვენიის 20-წლამდელთა ნაკრებს, ხოლო 16-ში – 18-წლამდელებს დაუპირისპირდება. სლოვენიაში ჩვენი ნაკრები პოდჩეტრტეკში დაბანაკდა, სადაც წლების მანძილზე, ზაფხულობით, შეკრებას საქართველოს ეროვნული ნაკრები გადიოდა.

სლოვენიიდან საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები უკრაინაში გადავა და კიევში 3 საკონტროლო მატჩს გამართავს. 20 ივნისს უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრებთან, 21 ივნისს სლოვაკეთის U20-თან, ხოლო 22-ში უკრაინის 20-წლამდელთა ნაკრებთან.

საქართველოს 20 წლამდე ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

**უკანა ხაზი:** რატი ანდრონიკაშვილი (ბურგოსი, ესპანეთი), ბერდია ქავთარაძე (ზაზას აკადემია), ამირან ხაზალია (სკოტლანდ კამპუსი, აშშ), ლუკა მაზიაშვილი (ოლიმპი);

**ფორვარდები:** დავით კაკუშაძე (ბრიუსტერ აკადემი, აშშ), ზაურ ჯანელიძე (ტიტები), ვახტანგ გაფრინდაშვილი, ივანე მეგენეიშვილი (ორივე დელტა), აკაკი ფიფია (თსუ-ჰიუნდაი), ნიკოლოზ მეცხვარიშვილი (კავკასია);

**ცენტრები:** ზურაბ ჟღენტი (დინამო), ცოტნე ცარციძე (მოდესტ ქრიშენი, აშშ), ლუკა კალატოზიშვილი (ბათუმი), ტარიელ არაბული (რუსთავი).

# მანჩესტერს ბეილი იჯარით სურს, დე ხეას კი ფულს მისცემს ნასასვლელად

მანჩესტერ იუნაიტედი მოულოდნელი სვლის განხორციელებას და გარეთ ბეილის იჯარით აყვანას გეგმავს.

მას შემდეგ, რაც რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ბეილს „ბერნაბეუზე“ მომავალი არ აქვს, კლუბი მასთან განშორებას აქტიურად ცდილობს. მაგრამ მსურველები ჯერჯერობით არ ჩანან, ვინაიდან არც იუნაიტედი და არც ბეილის ყოფილი კლუბი ტოტენჰემი აპირებს მასში მოთხოვნილი 75 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას.

თუმცა, იუნაიტედმა სხვა გზა აირჩია და აპირებს, 29 წლის უელსელი 1 წლის ვადით იჯარით აიყვანოს. ეს კი რეალს საშუალებას მისცემს, მომდევნო ორი წლის განმავლობაში 50 მილიონი გირვანქა დაზოგოს ბეილისთვის გადასახდელი ხელფასის სახით.

გარდა ამისა, იუნაიტედი მადრიდულ გრანდს საიჯარო შეთანხმების საფასურსაც გადაუხდის, რაც მისთვის დამატებითი შემოსავალი იქნება.

ზიდანმა უკვე შეიძინა ჩელსიდან ედენ აზარი და აპირებს, რომ ბეილს განშორდეს, რათა სრულიად ახალი გუნდი შექმნას. მაგრამ უელსელი ჯიუტად დგება თავისაზე და კლუბიდან წასვლაზე კატეგორიულ უარს აცხადებს, ამიტომ საკითხავია, მოისურვებს თუ არა „ოლდ ტრაფორდზე“ გადასვლას, სადაც მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფეხბურთს ვერ იხილავს.

იუნაიტედი ბეილის დიდი ხნის მსურველია, მაგრამ არ აპირებს უდიდესი ნაწილი გადაუხადოს რეალს იმ თანხისა, რაც მადრიდელებმა 6 წლის წინ ტოტენჰემს გადაუხადეს. ამის მიზეზი ფეხბურთელის ტრავმებისადმი მიდრეკილებაა. სამაგიეროდ, იუნაიტედი აპირებს, ბეილს კვირაში 480.000 გირვანქის ოდენობით მოთხოვნილი ხელფასი დაუკმაყოფილოს.

იუნაიტედმა საცდელი შეთავაზება უკვე გააკეთა კრისტალ პალასის მარჯვენა მცველის, აარონ ვან-ბისაკას შესაძენად.



21 წლის ფეხბურთელი იუნაიტედის მთავარი მწვრთნელის, ოლე გუნარ სოლსკიაერის უმთავრეს სატრანსფერო სამიზნედ ითვლება დაცვის ხაზში.

ვან-ბისაკამ პალასში სადებიუტო მატჩი მხოლოდ გასული წლის თებერვალში ჩაატარა, მაგრამ როი ჰოჯსონის გუნდის ერთ-ერთ უმთავრეს წევრად მაშინვე იქცა, პრემიერ ლიგაში კი ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველი იყო მთელი სეზონის განმავლობაში.

თუმცა, მანჩესტერელთა შეთავაზებული 40 მილიონი გირვანქა უარყოფილია. ვან-ბისაკას პალასთან კონტრაქტით კიდევ 3 წელი აკავშირებს და კლუბიც მასში მინიმუმ 60 მილიონს ითხოვს.

თუმცა, უფრო საინტერესო ამბავს ავრცელებს ბრიტანული მედია. ახალი ცნობით, იუნაიტედი მზადაა, დავიდ დე ხეას 20 მილიონი გირვანქა იქით გადაუხადოს, რათა ესპანელმა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაზე კლუბი დატოვოს.

საქმე ის არის, რომ ესპანელს ინგლისურ გრანდთან კონტრაქტი მომდევნო წლამდე აკავშირებს. არც ერთ მხარეს ახალი კონტრაქტის გაფორმება არ სურს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დე ხეა წელს კლუბს არ დატოვებს, მომდევნო სეზონში იუნაიტედს მისი დათმობა თავისუფალი აგენტის სტატუსით მოუწევს.

როგორც ცნობილია, 28 წლის მეკარის გადაბირებით ფრანგული პსჟ არის დაინტერესებული. ფრანგები მზად არიან, დე ხეას სანაცვლოდ 75 მილიონი გირვანქა გადაიხადონ.

მანჩესტერის მესვეურები ესპანელის შემცვლელად რამდენიმე კანდიდატს მოიაზრებენ, რომელთა შორის ფიგურირებენ – იან ობლაკი, უგო ლორისი და ჯანლუიჯი დონარუმა.

# ერთა ლიგის პირველი გამარჯვებული პორტუგალიის ნაკრებია

**პორტუგალია-ჰოლანდია 1:0**

პორტუ. დრაგაო

გუედეში (60)

**პორტუგალია:** პატრისიუ, ფონტე, გერეირუ, სემედუ, დიაში, დანილუ, კარვალიუ (ნევეში 90), გუედეში (რაფა სილვა 75), ფერნანდეში (მოუტინიო 81), ბერნარდუ სილვა, რონალდო

**ჰოლანდია:** სილესენი, ბლინდი, ვან დეიკი, დიუმფრისი, დე ლიგტი, ვეინალდუმი, დე რონი (ლ. დე იონგი 81), ფ. დე იონგი, ბაბელი (პრომესი 46), დეპაი, ბერგვეინი (ვან დე ბეეკი 60)



ერთა ლიგის პირველი ისტორიული თასი პორტუგალიის ნაკრებმა ჩაიბარა. ლუზიტანებმა კიდევ ერთი ჯილდო მოიგეს, ხოლო ჰოლანდიის ნაკრები ისევ ფინალში დამარცხდა.

კრიშტიანუ რონალდუმ და კომპანიამ შინაურ არენაზე, პორტუში მოახერხეს და მებრძოლ ჰოლანდიას მოუგეს. თუმცა, ჰოლანდიის ნაკრები „დრაგაუს“ სტადიონზე რასაც აკეთებდა, ცოტა არ იყოს მოულოდნელი იყო. მეტიც, თავადაც არ იცოდნენ რა სურდათ. პორტუგალიამ კი მშვენივრად ითამაშა, უფრო სწორად – პრაგმატულად. მეტოქეს ზუსტად ის ტაქტიკა დაუპირისპირა, რაც წარმატებას მოუტანდა, ამაში ხელი ჰოლანდიამაც შეუწყო და მთავარმა მწვრთნელმა როლანდ კუმანმაც.

არადა, ჰოლანდიელებმა თითქოს თავდაჯერებულად დაიწყეს, ბურთსაც აკონტროლებდნენ, მაგრამ ტაიმის შუაწელში ეს უპირატესობაც დათმეს, ხოლო მე-2 ტაიმში, სულაც საკუთარ ნახევარზე გამოიკეტნენ, რასაც გონსალო გუედეშის გოლი მოჰყვა. პორტუგალიელებმა სწრაფად გაშალეს შეტევა და ბერნარდუ სილვამ თანაგუნდელი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა.

მხოლოდ ამის შემდეგ სცადა თამაშში კორექტივების შეტანა კუმანმა, მაგრამ ისევ წარუმატებლად. მასპინძლები უფრო თავდაჯერებული თამაშობდნენ და საკუთარი გულშემატკივრები გაახარეს.

პირველი ერთა ლიგის ისტორიული ტურნირის მოგების გარდა, პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზეც დაიბევა ადგილი.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ბერნარდუ სილვა**

მთელი ყურადღება რონალდუზე იყო გადატანილი. სწორედ აქ იმოქმედა სილვამ, როგორც საჭირო იყო. მანჩესტერ სიტის მოიერიშემ შესანიშნავი მატჩი ჩაატარა, მშვენივრად უძღვებოდა გუნდის შეტევებს და გოლიც სწორედ მის პასს მოჰყვა.

ფინალის დასრულების შემდეგ უეფამ ინდივიდუალური პრიზების მფლობელები გამოაცხადა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ბერნარდო სილვა გახდა, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი ფრენკი დე იონგი. 3 გატანილი გოლით ბომბარდირის პრიზი რონალდუმ მიიღო.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გოტფრიდს ევროპული ვერცხლი ოქროდ ექცა



2016 წელს ნორვეგიის ფიორდეში ჩატარებულ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების წევრის, ანასტასია გოტფრიდის მიერ მძიმე წონაში მოპოვებული ვერცხლის მედალი 3 წლის შემდეგ ოქროდ იქცა.

საქმე ის არის, რომ ფიორდეში ჩემპიონად (ატაცი, აკვრა და ორჭიდის ჯამი) გამოცხადებულ სომეხ რიპსიმე ხურშუდიანს ანტისადოპინგო წესების დარღვევისთვის ევროპის ჩემპიონის ტიტული ჩამოერთვა, რამაც საბოლოო შედეგებში შესაბამისი გადაადგილებები გამოიწვია: ოქროს მედლები გადაეცა მეორე საფეხურზე მყოფ ანასტასია გოტფრიდს, მეორე ადგილზე დაწინაურდა ბრიტანელი მერსი ბრაუნი, ხოლო ბრიტანელის ადგილზე აღზევდა პოლონელი ალექსანდრა მეჟევსკაია.

ცნობისთვის, გოტფრიდმა ფიორდეში ექვსივე ცდა გამოიყენა, ატაცში (113 კგ), აკვრაში (136 კგ) და ორჭიდის ჯამში 249 კილოგრამით ვერცხლის მედლები მოიპოვა. მოგვიანებით კი, ანასტასია ჩემპიონად გამოცხადდა.

ასე რომ, ანასტასია უკვე ევროპის ორგზის (2016 და 2018) ჩემპიონია, ასევე ძალოსნობაში პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ქალი (2017) საქართველოდან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ერთა ლიგის პირველი გამარჯვებული პორტუგალიის ნაკრებია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**შვეიცარია-ინგლისი 0:0 (5:6პ)**

**გიმარაეში. აფონსო ენრიკესი**

**შვეიცარია:** ზომერი, შერი, აკანჯი, როდრიგესი (დრმიჩი 87), ელვედი, ფერნანდეში (ზაკარია 61), ფროილერი, შაქირი (ცუბერი 65), ჯაკა, მბაბუ, სეფეროვიჩი (ოკაფორი 113)

**ინგლისი:** პიკფორდი, მაგუაირი, გომესი, როუზი (უოკერი 70), დელფი (ბარკლი 105), ალი, ლინგარდი (სანჩო 105), სტერლინგი, დაიერი, ალექსანდერ-არნოლდი, კეინი (უილსონი 75)

ინგლისისა და შვეიცარიის ნაკრებებმა 120 წუთის მანძილზე თავადაც იწვალეს და მაყურებელიც აწვალეს. ძალიან უინტერესო და უხარისხო მატჩი გამოდგა. ყველაფერი დაბალ ტემპში კეთდებოდა და ფეხბურთელებსაც ეტყობოდათ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ „გადამწვარი" იყვნენ. ალბათ, ორივე ნაკრებს მოტივაცია აკლდა და ესეც იყო მიზეზი. ერთა ლიგის მე-3 ადგილისთვის მატჩი არაფრით გამოირჩეოდა ამხანაგურისგან და კანონზომიერად დასრულდა უგოლოდ.

ერთია, ინგლისის ნაკრები ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდა და ვადაზე ადრეც შეეძლო მოგება, მაგრამ საქმე მაინც პენალტებამდე მივიდა. ჩვენი მეტოქე 2020 წლის შესარჩევი ეტაპის ჯგუფურ ეტაპზე, შვეიცარიის ნაკრები კი მუდმივად თავდაცვით იყო დაკავებული და კონტრშეტევებზე ცდილობდა შედეგის მიღწევას, მაგრამ არაფერი გამოდიოდა.

პენალტების სერიაც გაიწელა — 5-5 დარტყმა ორივე გუნდმა ზუსტად შეასრულა, მეექვსე ჯერზე კი ინგლისმა გაიტანა, ხოლო პიკფორდმა შეცვლაზე შესულ დრმიჩს აუღო და ერთა ლიგის პირველი გათამაშების ბრინჯაოს მედალი ინგლისს დარჩა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — ჯორდან პიკფორდი**

ძალიან რთულია ასეთ მატჩში საუკეთესოს დასახელება. ერთადერთი, ვისაც აუცილებლად გამოვყოფთ, ინგლისელთა მეკარეა, რომელმაც პენალტების სერიაში ჯერ გაიტანა, ხოლო შემდეგ აილო და საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# მამაკაცმა, სოლიდური თანხის მოგების მიუხედავად, ტაქსის მძღოლობას თავი არ დაანება




დიდი ბრიტანეთის ქალაქ ნოტინჰემში მამაკაცმა მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო ლატარიაში და ტაქსის მძღოლად მუშაობა გააგრძელა.

64 წლის გორდონ რისი მაღაზიაში რძის საყიდლად შევიდა. როდესაც პროდუქტებზე ფასები ნახა, უკან გაბრუნება სურდა, მაგრამ გადაიფიქრა და ორი ცალი ლატარიის ბილეთი შეიძინა. მამაკაცმა ბილეთები გვიან საღამოს შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ ჯეკპოტი მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობით მოხსნა.

— მეორე დღეს ლატარიაში ყვავილების მაღაზიიდან დავრეკეთ, სადაც ჩემი ქალიშვილი მუშაობდა. მათ უსაფრთხოების ყველა აუცილებელი ღონისძიება ჩაატარეს და მითხრეს: „გილოცავთ, მისტერ რის, თქვენ მილიონერი ხართ!" — განაცხადა ბრიტანელმა.

მიუხედავად თავისი მოგებისა, გორდონმა ტაქსის მძღოლად მუშაობა გააგრძელა. მისი თქმით, მოსწონს ეს სამსახური და ის ხალხი, რომლებიც მის გარშემო ტრიალებენ. თუმცა შემდეგ თავს დამნაშავედ გრძნობდა იმის გამო, რომ მგზავრობის ფულს იღებდა, ამიტომ სამსახურს თავი დაანება და პენსიაზე გავიდა.

მოგებამ მისი ცხოვრება შეცვალა. ის იმ მომენტში მეუღლეს დაშორდა, იყიდა სახლი და მანქანა, ასევე უმკურნალა ბავშვებს, ახლა კი თავისი საყვარელი საფეხბურთო კლუბის „ნოთს ქაუნთის" წილი შეიძინა. ის კმაყოფილია თავისი აქტიური სოციალური ცხოვრებით და მომავალში დაქორწინებას აპირებს.

# გველთევზას მოკვეთილმა თავმა ლითონის ქილა გაკვნიტა



მეთევზეებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც გამოარკვიეს, რომ გველთევზას თავი სხეულისგან დამოუკიდებლად სიცოცხლეს ინარჩუნებს და ყბებს რეფლექსურად ხურავს. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ უდებს მამაკაცი გველთევზას ყბებში ალუმინის ქილას და ის მაშინვე კბენს. ვიდეო სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა სადაც მისი ნახვა უკვე რამდენიმე ათასმა ადამიანმა მოასწრო. მათ თევზს ურჩხული უწოდეს და აღიარეს, რომ მასთან შეხვედრას არ ისურვებდნენ.

აღსანიშნავია, რომ გველთევზას კარგად აქვს განვითარებული ყბები და ამიტომ მას ნებისმიერი საგნის გაკვნეტა შეუძლია. ეს სახეობა ადამიანისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

# ირინა შეიკი და ბრედლი კუპერი დაშორდნენ



რუსი მოდელი ირინა შეიკი და ამერიკელი მსახიობი ბრედლი კუპერი ერთმანეთს დაშორდნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 33 წლის შეიკმა და 44 წლის კუპერმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაშორდნენ. წყვილი ახლა იმას არკვევს, თუ ვისთან დარჩება მათი ორი წლის გოგონა ლეზ დე სეინი, რომელიც 2017 წლის მარტში დაიბადა. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ირინამ ბრედლის სახლი დატოვა.

აღსანიშნავია, რომ მომღერალ ლედი გაგას ამ მოვლენასთან რაიმე კავშირი არ აქვს. გავრცელებული ხმების თანახმად, მისი რომანი მსახიობთან ფილმის „ვარსკვლავი დაიბადა" გადაღებების დროს დაიწყო. მათი „ოსკარის" პრემიის გადაცემაზე ერთად გამოჩენა მათ შორის რომანტიკული ურთიერთობის თეორიის მომხრეებმა თავიანთი ვარაუდების დადასტურებად მიიღეს.

ირინა შეიკმა და ბრედლი კუპერმა ამ საკითხზე კომენტარების გაკეთებისგან თავი შეიკავეს. ისინი ერთმანეთს 2015 წლიდან ხვდებოდნენ.

# უსინათლო ალპინისტმა სახიფათო კლდე დალაშქრა



ბრიტანელი ალპინისტი პირველი უსინათლო ადამიანი გახდა, რომელმაც დამოუკიდებლად შეძლო შოტლანდიის კუნძულ ჰოიზე მდებარე 137 მეტრი სიმაღლის კლდე ოლდ-მან-ოფ-ჰოიზე ასვლა.

პარაალპინისტი ჯესი დაფტონი, პარტნიორ მოლი ტომპსონის თანხლებით შვიდი საათი ადიოდა კლდოვან წარმონაქმნზე. ქალი ექსტრემალს უკან მიჰყვებოდა, აზღვევდა და მარშრუტის არჩევაში რადიოკავშირის საშუალებით ეხმარებოდა. მიუხედავად დახმარებისა და აუცილებელი მოწყობილობისა, ბრიტანელი გზას ძირითადად ხელის ცეცებით იგნებდა.

— გამომივიდა, — ზეიმობდა დაფტონი, მას შემდეგ რაც კლდის მწვერვალზე აღმოჩნდა, — ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა ასეთი საინტერესო და ამავდროულად რთული მარშრუტები. პირადად ჩემთვის ეს მართლაც გამარჯვებაა.

აღსანიშნავია, რომ პარაალპინისტები ადრეც ასულან ამ კლდეზე, თუმცა ყველა მათგანი სარგებლობდა თოკებით, რომლებიც მათთვის მხედველმა პარტნიორებმა გააბეს.

# ნიანგთან შეხვედრის შემდეგ მამაკაცი გაუჩინარდა



მალაიზიის ქალაქ ლახად-დატუში მეხანძრეებმა სამძებრო-სამაშველო ოპერაცია მას შემდეგ დაიწყეს, როდესაც მამაკაცზე ნიანგის თავდასხმის შესახებ გახდა ცნობილი.

კვირას, 9 ივნისს, დღის საათებში 44 წლის რუდი გესი სათევზაოდ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. სავარაუდოდ, მას თავს ნიანგი დაესხა. საბახის შტატის სახანძრო და სამაშველო სამსახურის დეპარტამენტის წარმომადგენლის ცნობით, გესის ძებნის სამუშაოები მომდევნო დღეს დაიწყო.

12 ადამიანისგან შემდგარი გუნდი მდინარეს ჩხრეკს, თუმცა ამ დრომდე დაკარგულის ვერანაირ ნაკვალევს ვერ მიაგნეს და სამძებრო-სამაშველო ოპერაცია გრძელდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კინოში ჩაძინებულმა გოგონამ შეყვარებული იპოვა



მალაიზიელ გოგონას კინოთეატრში ფილმის ყურების დროს ჩაეძინა, ხოლო როდესაც თვალები გაახილა, შენიშნა, რომ მისი ხელი მომხიბვლელ ყმაწვილს ეჭირა. მისი ისტორია ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ფეისბუქში ანონიმური გულახდილი საუბრების გვერდზე გოგონამ დაწერა, რომ კინოთეატრში ფილმ „ალადინის" საყურებლად მარტო წავიდა, მის გვერდით ადგილი კი „ლამაზმა და მაღალმა" ახალგაზრდა მამაკაცმა დაიკავა.

მალაიზიელ გოგონას ფილმის ერთ-ერთი მუსიკალური სცენის დროს ჩაეძინა, ხოლო როდესაც გაეღვიძა, შენიშნა, რომ მისი ხელი გვერდით მჯდომ მამაკაცს ხელში ეჭირა. გოგონა შეეცადა, თავისი ხელი მისი თითებიდან გამოეტაცა, მაგრამ მამაკაცი ხელს არ უშვებდა. ისინი სეანსის დასრულებამდე ასე ისხდნენ. შემდეგ კი მამაკაცი სიტყვის უთქმელად წავიდა.

— რატომ არ დამიტოვე შენი კონტაქტები? — კითხულობს გოგონა.

მოგვიანებით მან დაწერა, რომ იპოვა უცნობი მამაკაცი. მან მოწონება დაუწერა მის ჩანაწერს. გოგონა მას დაუკავშირდა და მან პაემანზე დაპატიჟა. ისინი შეთანხმდნენ, რომ დასაწყისისთვის მხოლოდ იმეგობრებენ.

— მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს იმისთვის, რომ კინოში ვერ წამომყვა და რომ, სამაგიეროდ, ამ ყმაწვილს შევხვდი, — დაწერა გოგონამ.

# ასტროპროგნოზი

## 11 ივნისისთვის



**ვერძი** — სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას. **კურო** — ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ — ხარისხს. **ტყუპები** — ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მცირე პრობლემა წარმოიშობა. ეს არ იქნება სერიოზული ავადმყოფობა, ალბათ, უფრო — პატარა გაციება. ყურადღება მიაქციეთ კვებას. **კირჩხიბი** — ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ — ხარისხს. **ლომი** — დაძაბული დღეა. შესაძლოა, სამსახურში კონფლიქტი წარმოიშვას უფროსობასთან და კოლეგებთან. ნებისმიერი პატარა კამათი დიდ სკანდალში გადაიზრდება. **ქალწული** — პლანეტები გმფარველობენ. თუ დაგჭირდათ, ახლობლები და მეგობრები დახმარების ხელს გამოგიწვდიან. **სასწორი** — კრიტიკული დღეა, სრულიად შეუფერებელი ახალი საქმის დასაწყებად, სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **ღრიანკალი** — კარგი დღეა ძველი კავშირების აღსადგენად. გაწონასწორებული და მშვიდი ხართ. გრძელვადიან გეგმებს ნუ დააწყობთ. **მშვილდოსანი** — დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, ყველაზე სარისკოც კი. წარმატებას მოგიტანთ სამოგზაუროდ წასვლა და ახალი ნაცნობობა. **თხის რქა** — იმედი გაგიცრუვდებათ. მოლოდინი ამაოა. იყავით თვითკრიტიკული. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** — ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით — სამსახურში. კეთილისმყოფელი დღეა ახლობელთან კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ერიდეთ სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას. **თევზები** — წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში, ასევე, შესაძლოა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. დათანხმდით და ნახავთ, რომ არ ინანებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა და ორნამენტი; 2. კუთხე საქართველოში; 3. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 5. ქართული ტელეკომპანია; 6. ქალაქ ლვოვის ძველი სახელწოდება; 9. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 11. ფრანგი ბარონი, ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი; 17. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 16. გადასახადების ამკრეფი უწყება ძველად საქართველოში; 18. აეროპორტი თელ-ავივში.

**თარაზულად:** 1. სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი თბილისში; 4. სასჯელი ქურდობისთვის ძველ ქართულ სამართალში; 7. ბრიტანელი ბილიარდისტი, მსოფლიო ჩემპიონი; 8. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება; 12. ხელოვნური მარმარილო; 13. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 15. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 17. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 19. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 20. ავსტრალიური ველური ძაღლი; 21. სპარსელი პოეტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ლაფიტი; 7. კასტელაო; 8. პუდელი; 10. კირხე; 11. პიგმალიონი; 13. კლაუზულა; 16. სალათა; 19. რადიკალი; 20. მასმედია.

**შვეულად:** 1. მატუარი; 2. სტელა; 3. პატისონი; 4. ცეოლითი; 5. ჰორტენზია; 9. ქვისლი; 12. რანჟირი; 14. ლიპომა; 15. ზღვა; 17. თვალი; 18. ყრმა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ისანი; 2. ლალიონი; 3. ლიტი; 4. სი; 5. ქსილიტი; 6. ლეი; 7. იმკი; 8. ლუკა; 9. თურდო; 10. ტერაკოტა; 11. იაკინთე; 12. მირეი; 13. მენიუ; 14. ალლო; 15. აბი; 16. ლიდერი; 17. ბარიტონი; 18. დიუი; 19. სულემა; 20. ბატერფლაი; 21. რეტორტა; 22. ფინტი; 23. ლუსონი; 24. პრიზი; 25. ზაარბრიუკენი; 26. ტემპი; 27. მსტოვარი; 28. რა; 29. ნიუ; 30. კიი; 31. კრეტა; 32. ბენტ; 33. არვე.

**სურათებზე:** კიმ კლაისტერსი; თომას მიულერი.

# ნოე სულაბერიძე და ჯანეტ ქერდიყოშვილი დაქორწინდნენ



ტელეწამყვანი ნოე სულაბერიძე და მის საქართველო 2011 ჯანეტ ქერდიყოშვილი დაქორწინდნენ. წყვილის ქორწინებას წინ უძღოდა ტრადიციული ნიშნობა, რაც ჯვრისწერით და ულამაზესი ქორწილით დაგვირგვინდა.

ნოემ და ჯანეტმა ჯვარი სამების ტაძარში დაიწერეს, სადაც უახლოესი მეგობრები შეკრიბეს. ჯვრისწერის შემდეგ ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა და გრანდიოზული საქორწინო სუფრით დაგვირგვინდა, სადაც ყველამ კარგად მოილხინა.

წყვილის გაბედნიერებას უამრავი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა. ანრი ჯოხაძე, ნინი ბადურაშვილი, ნოდიკო ტატიშვილი, სოფო ნიჟარაძე, სალომე ბაკურაძე, ნინო სურგულაძე, ლაშა ჯოხაძე, ნინო კუზანოვა...

# ბაკურ ბაკურაძე საქართველოს მოსახლეობის გამოკვლევას ითხოვს



დიზაინერი ბაკურ ბაკურაძე საქართველოს მოსახლეობის გამოკვლევას ითხოვს და ჯანდაცვის სამინისტროს მიმართავს:

— უმორჩილესად გთხოვთ, სასწრაფოდ მოიფიქრეთ ფორმა, როგორ გამოიკვლიოთ საქართველოს მოსახლეობა. ჩაატარეთ საყოველთაო სავალდებულო ფსიქიკური და ნევროლოგიური გამოკვლევა საქართველოს მოსახლეობის. სრული სერიოზულობით მოგმართავთ! ერთი შეხედვით მდგომარეობა არის ძალიან სავალალო!

# თამაზ ვაშაკიძემ ეკატერინბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრს სასამართლო დავა მოუგო



ქორეოგრაფმა თამაზ ვაშაკიძემ ეკატერინბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრს სასამართლო დავა მოუგო.

საქართველოდან დევნილი ვაშაკიძე ეკატერინბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქორეოგრაფი იყო, თუმცა პოლიტდევნილის სტატუსის შეჩერების გამო, მას სამსახური დაატოვებინეს. მართალია, მოგვიანებით ხელოვანს სტატუსიც აღუდგინეს და სამსახურშიც დააბრუნეს, თუმცა თამაზ ვაშაკიძემ სასამართლოს იმ გაცდენილი პერიოდის ფინანსური ანაზღაურების მისაღებად მიმართა, რომელიც მას სრულიად კანონიერად ეკუთვნოდა.

თამაზ ვაშაკიძის სარჩელი დაკმაყოფილდა — ეკატერინბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრს ქართველი ქორეოგრაფის სასარგებლოდ 1 258 716. 64 რუბლის გადახდა დაეკისრა.

# დიტო ცინცაძის ახალი ფილმის პრემიერა შანხაის კინოფესტივალზე გაიმართება



ქართველი რეჟისორის დიტო ცინცაძის ახალი ფილმი „ჩაისუნთქე – ამოისუნთქე" პრემიერა შანხაის 22-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება.

ფესტივალი 15 ივნისს გაიხსნება და 24 ივნისამდე გაგრძელდება. ქართულ ფილმს კინოფესტივალის სტუმრები მთავარ კონკურსში 22 ივნისს იხილავენ.

დიტო ცინცაძის ახალი სურათი, საქართველო-შვედეთი-რუსეთის კოპროდუქციაა, რომელიც მხოლოდ საქართველოში, კერძოდ, თბილისსა და ჭიათურაშია გადაღებული

# სამგლოვიარო განცხადებები

ქალაქ სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მე-10ბ კლასის 1966 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ რეზო ცინარიძეს უსაყვარლესი დედის

**თინა შენგელია-ცინარიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „ოქროს ტალღაზე" ფრედი მერკურის სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი მარკ მარტელი იმღერებს

მუსიკალური დაჯილდოების „ოქროს ტალღის" გალა კონცერტზე ფრედი მერკურის სიმღერების საუკეთესოდ შემსრულებელი მარკ მარტელი იმღერებს. მარკმა წლევანდელ ოსკარების დაჯილდოების ცერემონიალზეც იმღერა და მსოფლიოს მილიონობით მსმენელის გული დაიპყრო.

„ოქროს ტალღის" გალა კონცერტი 11 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება. „ფორტუნას" მიერ ორგანიზებული წლის სიმღერის დაჯილდოების ცერემონია გამარჯვებულებს 15 ნომინაციაში გამოავლენს.

წელს, „ფორტუნას" გადაწყვეტილებით, „ოქროს ტალღა" ლეგენდარულ „ქუინს" ეძღვნება. შესაბამისი იქნება მუსიკალური ნაწილიც: „ოქროს ტალღის" სპეციალური სტუმარი კანადელი მუსიკოსი მარკ მარტელია, რომელიც 2018 წლის ყველაზე პოპულარული ფილმის, „ბოჰემური რაფსოდიის" ერთ-ერთი მონაწილეა, მან ფილმში ფრედი მერკურის რამდენიმე მუსიკალური პარტია შეასრულა და აღიარებულია, როგორც მერკურის სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი.

„ოქროს ტალღაზე" ის „ქუინის" სიმღერებს შეასრულებს.



# ახმეტელის თეატრმა რუმინეთში გაიმარჯვა




ახმეტელის თეატრმა რუმინეთის ორადეას საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გაიმარჯვა.

რეჟისორმა ირაკლი გოგიამ სპექტაკლი თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესის მიხედვით დადგა. პიესაში მოქმედების ადგილი თეატრია, აქ მთავარი მოქმედი პირია ბრუტუსი, ამიტომ ის მაყურებელს მიმართავს „პიესის სახელწოდებას აფიშებზე ნახავდით. ის ბრუტუსით იწყება. „ბრუტუსი, ანუ იულიუს კეისრის მკვლელობა". უცნაური შეკითხვები მებადება. ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ როლის წყალობით ხელმეორედ იშვას ბრუტუსი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოღალატედ ითვლებოდა, რისი მიზეზიც იყო შემდეგი წინადადება „შენც, ბრუტუს?!"

სპექტაკლში ახმეტელის თეატრის 8 მსახიობი მონაწილეობს ანდრია გველესიანი, სოფია სებისკვერაძე, გიორგი გასვიანი, გიორგი ცხადაძე, მაიკო ვაწაძე, ოთარ ჩიქობავა, დემო კალანდაძე და ვერონიკა კალანდარიშვილი.

სპექტაკლმა „ბრუტუსი" სამი ჯილდო დაიმსახურა – საუკეთესო სპექტაკლი, საუკეთესო რეჟისურა და საუკეთესო სცენოგრაფია.

ინფორმაცია ახმეტელის თეატრის მსახიობმა ანდრია გველესიანმა გაავრცელა:

– აი, ესეც სუპერ ამბავი: ჩვენმა თეატრმა ორადეას საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე სამ ნომინაციაში გაიმარჯვა: საუკეთესო სპექტაკლი, საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო სცენოგრაფია. ბედნიერი და ამაყი ვარ. ეჭვიც არ მეპარებოდა რომ „ბრუტუსი" იბრუტუსებდა და საუკეთესო სპექტაკლის ტიტულს მოიპოვებდა ამ ფესტივალზე.

# კახი კავსაძე 84 წლის გახდა



თეატრისა და კინოს მსახიობი კახი კავსაძე 84 წლის გახდა. მსახიობს დაბადების დღე ოჯახის წევრების გარდა, მშობლიურმა თეატრმა და მისმა ერთგულმა მაყურებლებმაც მიულოცეს.

კახი კავსაძე თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ ჯილდოდ, ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს და მაყურებლის უდიდეს სიყვარულს მიიჩნევს.

ამჟამად მსახიობი რუსთაველის და ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრებში მუშაობს. რუსთაველის თეატრში გახმაურებულ „მოხუც ჯამბაზებში" თამაშობს, მოზარდ მაყურებელთა თეატრში კი შვილის ირაკლი კავსაძის სპექტაკლში „პატარა უფლისწული", რომელიც რეჟისორმა დედას, ბელა მირიანაშვილს მიუძღვნა.

კახი კავსაძისთვის ცხოვრებაში მთავარი ადამიანობა და სიყვარულია. მას ძალიან უყვარს თავისი სამშობლო და მისთვის მხოლოდ მშვიდობა სურს:

– ჩემს სამშობლოს – საქართველოს ვუსურვებ მშვიდობას. სადაც მშვიდობაა, იქ თეატრია; სადაც თეატრია, იქ პიესები, იქ სცენარი, იქ წიგნია; სადაც წიგნია, იქ პოეზიაა; სადაც პოეზიაა, იქ სუფრაა; სადაც სუფრაა, იქ პატივისცემაა; სადაც პატივისცემაა, იქ სიყვარულია; სადაც სიყვარულია, იქ ღმერთია. ჩვენთან არს ღმერთი!

# ფოთის თეატრის რეაბილიტაცია დაიწყო



ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო.

თეატრის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას ფოთის მერი გოჩა კურდღელია პირველ მოადგილესთან კონსტანტინე თოფურიასთან ერთად გაეცნო.

პროექტი სარდაფის, სახურავის, სამსახიობო და საგრიმიორო ოთახების, ფასადის, ვენტილაციისა და გაგრილების სისტემის მონტაჟის და სხვა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას გულისხმობს.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „იმედი" ასრულებს და იგი 2020 წლის გაზაფხულზე უნდა დასრულდეს.

ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასი დროებით, სახელოვნებო ცენტრის დარბაზში მართავს სპექტაკლებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

# ძაღლებმა პატრონები დაღუპვას გადაარჩინეს



ამერიკის ტენესის შტატში ორმა ძაღლმა თავიანთ პატრონებს ღამით გაჩენილი ხანძრის შესახებ შეატყობინეს და დაღუპვას გადაარჩინეს.

ოთხშაბათს ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის ოთხ საათზე, უილსონის ოლქის ერთ-ერთ სახლში ხანძარი გაჩნდა. სახლის მფლობელებს რენდი გრიმზლის და მის მეუღლეს ეძინათ, როდესაც მათმა ერთ-ერთმა ძაღლმა, სახელად მეგიმ, ყეფა ატეხა, ხოლო მეორე, სახელად მორგანი, კართან წრიალებდა და არ ისვენებდა.

მამაკაცს გაეღვიძა და იფიქრა, რომ ძაღლები გასასეირნებლად გაშვებას ითხოვდნენ, თუმცა შემდეგ მან ტერასაზე ცეცხლის ალი შენიშნა. მეუღლე სასწრაფოდ გააღვიძა და ძაღლებთან ერთად დატოვა შენობა.

– ჩემი მეუღლე მათ წვრთნიდა, როგორც თერაპევტულ ძაღლებს, ამიტომ მათ სახლში ყეფა ეკრძალებოდათ, – განმარტა გრიმზლიმ და იქვე აღნიშნა, რომ ძაღლებმა ისინი დაღუპვას გადაარჩინეს.

ხანძარმა მათი სახლი მთლიანად გაანადგურა. მათ წითელი ჯვარი დაუკავშირდა და დროებითი საცხოვრებელი შესთავაზა.

სავარაუდოდ ხანძრის გაჩენის მიზეზი ავტოფარეხში მაშხალების თვითაალება გახდა.

# ცუდმა ამბავმა ლატარიის მოყვარულს მოგება მოუტანა




ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ბალტიმორის მცხოვრებმა თავისი ფულადი პრიზის მიღება ვერ მოახერხა, თუმცა იქვე ისევ ითამაშა ლატარია და ჯეკპოტი მოხსნა.

78 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, რამდენიმე ცალი 5 ლარიანი მომენტალური ლატარიის ბილეთი იყიდა, იქვე შეამოწმა და მისმა ერთ-ერთმა ბილეთმა 500 დოლარი მოიგო. მან ფულის მისაღებად მოლარეს მიაკითხა, რომელმაც მას ცუდი ამბავი აცნობა.

– გოგონამ მითხრა, რომ მხოლოდ მენეჯერს შეეძლო ჩემთვის მოგებული თანხის მოცემა, ვინაიდან ფული სეიფში იყო ჩაკეტილი, – იხსენებს აზარტული თამაშის მოყვარული, – ამაზე გული არ დამწყვეტია და სხვა მაღაზიაში მივედი, სადაც ჩემი მეგობრები ვირტუალურ დოღში მონაწილეობენ. იქ თავში აზრად მომივიდა, რომ კიდევ შემეძინა ლატარიის ბილეთები.

ამის შემდეგ ის ერთ-ერთ მაღაზიაში შევიდა და თავისი პირველი მოგება მონოპოლის 20 დოლარიანი ბილეთის შეძენით აღნიშნა, რომელმაც მას მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

გამარჯვებულმა აღნიშნა, რომ მისმა მეუღლემ ძლივს დაიჯერა ასეთი წარმატება, თუმცა უკვე ახალი სახლის ძებნაშია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ივნისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.7348

ევრო — 3.0920

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4705

100 რუსული რუბლი — 4.722

**ამინდის პროგნოზი 11 ივნისისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**11 ივნისიდან**

ვაჟა-ფშაველა

**მოთხრობები**

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**




**4 ივნისიდან**

მარკ ტვენი

**ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი**

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**




**31 მაისიდან**

**დიდი ქართველი მეფეები**

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**





## იუმორი

დედა ბავშვებს ეუბნება:

– ბავშვებო, მე მაღაზიაში მივდივარ, წყნარად ისხედით, ფანჯარა არ გააღოთ.

– იმიტომ, რომ იწვიმებს?

– არა, ბებია უკვე გადავარდა.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ნაგავი გადაყარე.

– კი მაგრამ, ახლა არ დავჯექი?!

– და მანამდე რას აკეთებდი?

– ვიწექი!

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:

– კი მაგრამ, ამ სიცხეში სად აიკიდეთ ყურის ანთება?

– ცივი ზარები შემომდიოდა.

•••

ცოლი სახლში დილით დაბრუნდა. ქმარი უყვირის:

– სად დაეთრეოდი? მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

– შენ რა, გგონია, რომ მე მეძინა?

•••

82 წლის მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– მომავალ კვირაში ცოლს ვირთავ, ექიმო!

– ურიგო არ არის და რამდენი წლისაა თქვენი საცოლე?

– 18-ს.

– უნდა გაგაფრთხილოთ, რომ საწოლში მეტისმეტმა აქტიურობამ შესაძლოა სასიკვდილო შედეგი გამოიღოს!

– თუ მოკვდება, ჯანდაბას, სხვას მოვიყვან!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



## პოლ პოგბა: „თურქეთთან საშინლად ვითამაშეთ“

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა და ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პოგბამ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა თურქეთის წინააღმდეგ საშინლად ითამაშა და დამსახურებულად წააგო. პოგბას აზრით, ასეთი ცუდი თამაში საფრანგეთის ნაკრებს დიდი ხანია, არ უჩვენებია:

– ასეთი რამ არ უნდა დაგვმართოდა. არ ვიცი, ეს რატომ მოხდა, მაგრამ საშინლად ვითამაშეთ და მეტოქეს დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ. დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და მომავალ შეხვედრებში ვაჩვენოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ. თურქეთმა საფრანგეთის ნაკრები 2:0 დაამარცხა.

## მოურინიომ, შესაძლოა, ბრაზილიის ნაკრები ჩაიბაროს



ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ტიტეს თანამდებობიდან გაათავისუფლებენ, თუ მან კოპა ამერიკა ვერ მოიგო.

გავრცელებული ინფორმაციით, ბრაზილიაში უკვე ჰყავთ შერჩეული ტიტეს სავარაუდო შემცვლელი და ის ჟოზე მოურინიოა, რომელიც მანჩესტერ იუნაიტედიდან წამოსვლის შემდეგ ისევ თავისუფალია.

მოურინიოს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა ასეთ შემოთავაზებაზე ის, სავარაუდოდ, უარს არ იტყვის.

ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოურინიოს ნაკრები არასოდეს გაუწვრთნია თავის სამწვრთნელო კარიერაში.



## სერხიო რამოსი: „აზარი გაგვაძლიერებს“

მადრიდის რეალის ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა ედენ აზარზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალი მისი შეძენით ძალიან გაძლიერდება.

რამოსის აზრით, აზარი რეალის შეტევას უფრო მეტ კრეატივს შემატებს და მეტოქეებისთვის ეს დამანგრეველი იქნება.

– რეალს სჭირდებოდა ისეთი ფეხბურთელი, როგორიც აზარია. მას შესანიშნავი დრიბლინგი აქვს და ყოველთვის ცდილობს თამაშის გამწვავებას. ჩვენ მასთან ერთად უფრო ძლიერები გავხდებით, – განაცხადა სერხიო რამოსმა.

აზარი რეალში ოფიციალურად 8 ივნისს გადავიდა და ის 5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

## რონალდუმ დე ლიხტს იუვენტუსში გადასვლა შესთავაზა

ჰოლანდიის და პორტუგალიის ნაკრებების თამაშის დამთავრების შემდეგ კრიშტიანო რონალდუ მატიას დე ლიხტთან მივიდა და რაღაც უთხრა. როგორც დე ლიხტმა მატჩის შემდეგ თქვა, კრიშტიანომ მას იუვენტუსში გადასვლა შესთავაზა:

– მან მითხრა, რომ იუვენტუსში წავსულიყავი, მაგრამ ეს ნახევრად ხუმრობით თქვა. რონალდუ უდიდესი ფეხბურთელია და მის გვერდით თამაში დიდი პატივი იქნება.

დე ლიხტის შეძენა ბევრ გუნდს სურს და ჯერჯერობით მისი მომავალი გარკვეული არ არის.

## გონსალო იგუაინი, შესაძლოა, რომას ფეხბურთელი გახდეს

არგენტინელი ფორვარდი გონსალო იგუაინი, რომელიც ამჟამად ჩელსიშია განათხოვრებული, შესაძლოა, რომას ფეხბურთელი გახდეს.



იგუაინი ჯერ კიდევ იუვენტუსის საკუთრებაა, თუმცა ტურინელები ჯერჯერობით მის დაბრუნებას არ აპირებენ.

იგუაინი ჩელსიმდე მილანში იყო განათხოვრებული, მაგრამ თავის დამკვიდრება ვერც იქ შეძლო და მისი კარიერა დაღმასვლას განიცდის.

რომაში ადასტურებენ, რომ ფორვარდის ყიდვა სურთ, თუმცა კონკრეტულ გვარებს არ ასახელებენ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კლდეში ნაკვეთი ისტორიული ქალაქი იორდანიაში; 2. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 3. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 4. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 5. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 6. სამეფო კვერთხი; 9. მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადი; 10. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 11. ცნობილი გერმანელი კინოლოგი; 14. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 16. დამარილებული ღორის ქონი; 18. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 20. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 23. ფულის საერთაშორისო ერთეული; 24. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 25. ჩინური ფინიკი; 26. პატარა ბუ.

**თარაზულად:** 7. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 8. უბანი თბილისში; 12. ხშირი, დაბურული ტყე; 13. ცნობილი იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი; 15. მტრედის ბარტყი; 17. სასტუმრო „თბილისი მერიოტის“ ძველი სახელწოდება; 19. დასაკეცი ჯიბის დანა; 21. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 27. თანაფარდობა ნაწილებს შორის; 28. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





**ფუ ფანგ დან შენ პიან**
Fu fang dan Shen pian



**გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი**

ischemic heart disease
high cholesterol

**მაი ვეი დი ჰუანგ ვან**
Mai vei di huang van



**ჭარბი ოფლიანობა**

excessive sweating

**ნუან გონ იუნ ძ ვან**
Nuan gong yun zi wan



**ციკლის მოწესრიგება და უშვილობა**

cycle regulation.
Infertility

**სიაო ქ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან**
Xiao qe wan + liu vei di huang wan



**არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში**

regulates
sugar levels
in blood

**ჩუან სიონ ჩა თიაო ვან**
Huan xiong cha tiao wan



**თავის ტკივილი, გაციება, სისუსტე**

head ache, ill,
weakness

**ბოაი** ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

**მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15**
**მობ. ტელ: 568-73-73-44**
www.facebook.com/Boaigeorgia/